რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 ივნისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელ.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორი საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 72 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 72

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

15 ივნისს სრულდება წელიწადი

ნიკოლოზ (ნიკა) ვასილის ძე კანდელაკის

გარდაცვალების შემდეგ, რასაც დამწუხრებული მშობლები: მღვდელი ვასილ კანდელაკი და ოლღა კანდელაკისა, დები: სოფიო, ნადეჟდა, ალექსანდრა და ბარბალე, ძმები: ევგენი, ვასილი და ბორისი აუწყებენ ნათესავთ და მიცვალებულის ამხანაგებს. პანაშვიდი 15 ივნისს, ქ. ქუთაისში. ოლასკურას სასაფლაოს ეკლესიაზე. შუა დღის 12 საათზე. 2—2

შაბათს, 17 ივნისს, სოფელ გოგოლესუბანში (ოზურგეთის მაზ.) წმინდა გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

ელენა ბერძენიშვილისა ლომთათიძის ასულის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ქმარი ისიდორე და მაზლი კაპიტო ბერძენიშვილები და შვილები მისი ქეთუშა და სოსიკო. 1—1

ამა ივნისის ჩვიდმეტს, დილის 11 საათზე, შემოქმედის მონასტერში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სამხედრო უფროსი ექიმის

მიხაკო ყარამანის ძის ცეცხლაძის,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მისი: ყარამან გრიგოლის ძე და ელენე ანტონის ასული, ძმები: ვლადიმერ და ილია, დები: ვერა, ანეტა, მარუსია, ნადია და თამარა ცეცხლაძენი, რძალი ბაბო ალექსანდრეს ასული და სიძენები: ვასილ ლუმბაძე და სტეფანე ამირბეგოვი. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ერმილო და კოლია, რძლები: ფატი და ას მათი და მაზლი მელქისედეკ მახარაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

აგრაფინე იესეს ასულის

გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვება დანიშნულია ხუთშაბათს, 15 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავებენ ქვედა ბახვის წმ. მარიამის ეკლესიის გალავანში.

ვასილ და რაჟდენ ქრისტეფორის ძე კვინტრაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელის ძმის-შვილის

აკაკი მიხაკოს ძის კვინტრაძისას

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ანეტა და ძამინ ცვალი სახლი ებრალ ძენი (შვილებითურთ). ბიძანები: ილარიონ, გიგო და რევენტი ონისიმეს ძე მახარაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულ

ერმილე ესეს ძე ნაცვალაძის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი სოფ. ასკანის (გურია) წმ. გიორგის ეკლესიაზე, კვირას, 18 ივნისს, 1917 წ. დილის 11 საათზე.

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის არდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 81) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

კავკასიის კოოპერატიული ყრილობა

გაიხსნება 15 ივნისს—დღის 12 საათზე, მმ. ეფიმოვების ცირკში მიხეილის პროსპექტზე. 2—2

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

შრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასთვის. ღარიბები მუქთათ. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—6)

პარასკევს, 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქალების პირველ გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩა)

მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ. იწვევს

საერთო რაიონულ კრებას

ამ რაიონის ყველა პარტიულ წევრებისას.

დღის წესრიგი: 1) არჩევნები მუდმივი კოლექტივისა და 2) მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

მე 4 რაიონის კოლექტივი.

განცხადება.

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 18 ივნისს, შუადღის 12 საათზე, კლუბის შენობაში, დანიშნულია წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსამართლეთა არჩევნები. 3—2

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიუროში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) სოციალ დემოკრატია და ქალაქის თვითმმართველობა რუსულ ენაზე 20 კაპ.
2) პროგრამა რ. ს.-დ. მ. პ. რუსულ, ქართულ და თათრულ ენაზე თითო 10 კაპ.
3) საყოველთაო საარჩევნო უფლება რუსულ ენაზე . . . 15 კაპ.
4) მუნიციპალური პლატფორმა რუსულ და ქართულ ენაზე თითო . 5 კაპ.
5) [illegible] სოციალ დემოკრატია რუსულ ენაზე . . . . 20 კაპ.
6) აგრარული პროგრამა. კრიტიკა რუსულ ენაზე . . . . 15 კაპ.

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე.

ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—5

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეგრელიშვილი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტრიპის, დიდი სალინოიდი ხელოვნური მთიების და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარი ჭკუ-ბის, სისხლ ნაკლებობის, ჟძილობის, ნევრასთენიისთვის. ხელოვნური მთის ტყის ავათმყოფობის ასთმის, ბრონხიტის, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—82.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი პ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანთ ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ, და სა 6—8 დღ. საათამდე

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი.

პუშკინის ქუჩა, ვიტგენშტეინის სახლი. (24—1)

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ზოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.
2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.
3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.
4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ქუჩის თუ მოწყობილი მიტინგები.

რუსეთის დიდ რევოლიუციის პირველ დღეებში ყველა ოპოზიციონური ელემენტები შეთანხმებულათ გამოდიოდენ და მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდენ. არა თუ პროლეტარიატისა და გლეხობის უწინდელი გლეხკაცობის წარმომადგენლები—თვით სხვილი კაპიტალისა და ფინანსისტების იდეოლოგი გუჩკოვი თითქოს რევოლიუციონერებს შეუერთდენ და უკვე გათახსირებულ-გახრწნილ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდენ.

რევოლიუციის გაღრმავება რაც ქვევით მიდიოდა, რაც უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა და რევოლიუციონური ხალხი ძალაუფლებას ხელში იგდებდა, იმდენათ საზოგადოებრივი ძალთა განწყობილების საქმეში დიფერენციაცია ხდებოდა და პირველ დღის რევოლიუციონური ძალების მთლიანობა იზლიზოდა. ბურჟუაზია უკვე რევოლიუციონურ დემოკრატიას გამოეყო და იგი დღითი-დღე კონტრ-რევოლიუციონურ გზას ადგება და რევოლიუციის გაღრმავებას წინ ეღობება.

ასეთი დიფერენციაცია განსაკუთრებით რუსეთის კლასობრივი ძალთა განწყობილების პირობებში, რომელშიაც დღეს რუსეთის რევოლიუცია მიმდინარეობს, აუცილებელი საჭირო და სასარგებლოც კია. და რამდენათაც ასეთი დიფერენციაცია გარკვეულ და ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს, იმდენათ რევოლიუცია გარკვეულ გზაზე შესდგება, იმდენათ რევოლიუციონური კლასები გათვითცნობიერდებიან და მოსავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის უკეთესათ მოემზადებიან, უკეთესათ დაწინდებიან.

მათთვის აშკარა შეიქნება ბურჟუაზიული კლასების ორპირული მდგომარეობა, მათი დაპირების სიყალბე, მათი ლოზუნგებისა და ლამაზ-ლამაზი სიტყვების უშინაარსობა. პროლეტარიატი მიხვდება, რომ გაბატონებული კლასების „რევოლიუციონერობა" ამაო სიტყვაა და მათ ხალხის განთავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვთ. მაგრამ ამ ისტორიულ აუცილებელ დიფერენციაციასთან ერთად ვითარდება მავნე მოვლენებიც, რომლითაც თვით რევოლიუციონურ კლასებთა შორის განხეთქილება შეაქვს და რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინებას მეტისმეტათ აფერხებს. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს უპასუხისმგებლო პირები სამარცხვინო დემაგოგიას ეწევიან, ესენი ფართო შეუგნებელ მასაში ერთგვარ გასავალს პოულობენ და ამ გზით მათ გარშემო ბნელი ძალები თავს იყრიან.

პეტროგრადში და ზოგიერთა სამრეწველო ცენტრებში ფართო ხალხმა პოლიტიკურ ცხოვრებით დაიწყო არსებობა; მრავალ ჯგუფები ქუჩებში, ქალაქების სხვადასხვა კუთხეებში თავს იყრიან, მიმდინარე კითხვებზე ბაასობენ და პოლიტიკური ცხოვრების გარკვევაში ასე თუ ისე აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ასეთი ქუჩის მიტინგები ამ ბოლო დროს თფილისშიაც ხშირათ ხდება, თითქმის ყოველ დღე ქალაქის სხვადასხვა ადგილებში და ქუჩებზე მიტინგები იმართება და იგი ხშირათ ღამის სამ-ოთხ საათამდის გრძელდება.

მოვლენა მეტათ სასიამოვნო და საგულისხმოა. აშკარაა თფილისის ფართო დემოკრატიამ პოლიტიკური არსებობა დაიწყო და ყველა გამვლელ-გამომვლელი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ასეთ მიტინგებს ეტანება და ქუჩებში საჭირო კამათი იმართება.

აი სწორეთ ასეთ ქუჩის მიტინგებზე, რომელიმე „ძლიერი" ლოზუნგების დემაგოგი თუ ორატორი გამოდის ხალხის საერთო გათვითცნობიერებისა, საერთო პოზიციის გარკვევის მაგიერ ნაკლებათ შეგნებულ ხალხს თავბრუს ახვევს და მით თითქოს პროვოკაციის კონტრ-რევოლიუციონერებიც სარგებლობენ და თავიანთ საკუთარ საქმეებს აკეთებენ.

სწორეთ ასეთ დროს საჭიროა შეგნებულმა მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, მიმდინარეობას ორგანიზაციული ხასიათი მისცეს და მიტინგების ხელმძღვანელათ თითონ გამოვიდეს.

დასავლეთ ევროპაში ამ გარემოებას დიდი ხანია შესაფერი ყურადღება მიაქციეს, ქუჩის მიტინგების მაგიერ ისინი მუშათა კლუბებში საჭირო მიტინგებს ახდენენ, ყველგან სადაც კი მოსახერხებელია ხალხს თავს უყრიან და აქ პარტიული ხალხი ყოველ საჭირო კითხვებზე აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან.

ამ სახით სტიქიურ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი ეძლევა და ხალხის გათვითცნობიერება სისტემატიურათ ხდება.

ასეთი ორგანიზაცია ჩვენში დღეს, ამ დიდი რევოლიუციის ხანაში, მეტათ საჭიროა ასეთი მიტინგების და კლუბების გამართვა. მით უმეტეს, რომ დღეს თვით რევოლიუციონურ მუშათა კლასის მიმდინარეობაში ისეთმა განხეთქილებამ იჩინა თავი, სადაც ყოველი ჯურის პროვოკატორი, ყოველი ჯურის პოლიტიკური მიმდინარეობის ნაციონალ შოვინისტები ამა თუ იმ მიმდინარეობის ქურქში გამოდიან, სოციალდემოკრატიულ ან ერთ, ან მეორე მიმდინარეობას ათახსირებენ და თავიანთ შე-

ხედულებას ნაკლებად გათვითცნობიერებულ ხალხში კონტრაბანდით ასაღებენ.

ასეთ მდგომარეობით ვიმეორებთ ხშირათ პროვოკატორები და შოვინისტები სარგებლობენ და ხალხის გათვითცნობიერების მაგიერ ხალხში გონებრივ სიბნელე და არევ-დარევა შეაქვთ. აი სწორეთ ასეთ პირობებში ზევით დასახელებული გზით ქუჩის მიტინგების ორგანიზაციულ მიტინგებათ გადაქცევა სოციალდემოკრატიული პარტიის მთავარი საქმეა. თვით მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის შესახებ შესაფერი ზომები მიიღო და მიტინგების მომწყობი ბიუროც აირჩია. იმედია პარტიის ამ ნიადაგზე მუშაობა შესაფერ ნაყოფს გამოიღებს და ქუჩის მიტინგებზე დამსწრეთ მავნე ზეგავლენიდან იხსნის.

ნაციონალური საკითხი საოლქო ყრილობაზე.

გუშინ სოც.-დემოკრატიულ პარტიის საოლქო ყრილობაზე ნაციონალურ კითხვის გარჩევას შეუდგნენ. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რანაირ რეზოლიუციას მიიღებს ყრილობა. მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს პირველი ახალი ყრილობა პარტიისა არ უღალატებს პარტიის ტრადიციებს და იმ მთავარს როლს, რომელსაც ჩვენი პარტია თამაშობდა კავკასიაში. რაში მდგომარეობს ეს მთავარი როლი? თავის ჩასახვის წამიდგანვე პარტია გამოვიდა, როგორც ინტერნაციონალური ძალა. ნაციონალურ შუღლის იმ ქვაბში, რომელსაც კავკასია ეწოდება, სოციალდემოკრატია ყოველთვის გამოდიოდა როგორც შემარიგებელი ძალა და მუდამ, როდესაც კავკასიის ცაზე შეჯგუფდებოდა ნაციონალურ მტრობის ღრუბლები და ერთი ერი მზათ იყო დასტაკებოდა მეორე ერს, ყველა ერები მაშინვე მიიხედავდენ სოც.-დემოკრატიულ პარტიისაკენ, როგორც იმ ძალისაკენ, რომელმაც უნდა თავიდან ააცილოს კავკასიას ეს უბედურება. და სოც.-დემოკრატია თითქმის ყოველთვის მოხერხებულათ ასრულებდა ამ კეთილშობილურ მისიას. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ სათავეშივე ჩაახშო ჩვენმა პარტიამ 1905 წელს სომეხ თათართა ჟლეტა. კავკასიის ყველა ერები უყურებენ სოც.-დემოკრატიას უპირველეს ყოვლისა როგორც ინტერნაციონალურ ძალას, და ის გამარჯვება, რომელიც სჩვევია სოც.-დემოკრატიას კავკასიაში, სხვათა შორის ამას უნდა მიეწეროს. რით აიხსნება ამნაირი როლი სოციალ-დემოკრატიისა კავკასიაში? თავიდანვე ჩვენი პარტია თავის შედგენილობითაც ინტერნაციონალურ ძალას წარმოადგენდა. მის აკვანს თავიდანვე თავს დასტრიალებდენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. როცა პარტია პირველათ გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე, იგი მაშინვე შევიდა რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიის საერთო ოჯახში. იგი ყოველთვის მედგრათ იცავდა ამ ოჯახის მთლიანობას და ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა ყველას, ვინც კი მოინდომებდა პარტიის გათიშვას, იგი მუდამ წინააღმდეგი იყო ნაციონალურ სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების დაარსებისა, თითქოს ინსტინქტით გრძნობდა, რომ მისი ძალა სწორეთ ამ მთლიანობაში, გაერთიანებაშია, რომ ამაშია მისი მთავარი იარაღი, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

ყოველ ერების ნაციონალისტები სწორეთ იმას ცდილობდენ, რომ ეს იარაღი გამოეცალათ ხელიდან ჩვენი პარტიისათვის. ისინი მუდამ იმას გვიკიჟინებდენ, რომ აი ევროპაში ყველგან ნაციონალური სოციალისტური პარტიებია დაარსებული, თქვენ კი ამას უარყოფთო. თუ ებრაელებს, ლატიშებს და პოლონელებს აქვთ თავიანთი ნაციონალური პარტია, რატომ არ შეიძლება ამნაირივე პარტია ქონდეთ ქართველებს, სომხებს და სხ. თქვენ პლეხანოვის, ლენინის მონები ხართ, თავისუფლათ ხელის გასძრევას ვერ ბედავთო.

მაგრამ ვერავითარმა ნაციონალისტების დემაგოგიამ ვერ გასჭრა და სოც. დემოკრატიას ვერ გადაახვევინა ნაცად გზიდან: ჩვენ ერთგულათ დავიცავით რუსეთის პარტიულ ოჯახის მთლიანობა.

დღეს პარტიას მეორე საფრთხე უდგია წინ. გარეშე მტრებმა ვერ შეძლეს პარტიის გამოყოფა ნაციონალურ ფოლგლებში, მაგრამ დღეს ამნაირი ლტოლვილება პარტიის შიგნით დაიბადა. მართალია მიმართულება, რომელმაც არავინ იცის რით, დაირქვა „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია", ჩვენ პარტიის გარეშეა და მასთან არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ პარტიის შიგნითაც არის მიმდინარეობა, რომელსაც შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მაგ გზით მიეყავართ და ეს ყველაზე უკეთესათ გამოჩნდება ხოლმე, როგორაც კი ნაციონალური საკითხი დაისმება. ნაციონალურ პროგრამის შემუშავების დროს ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ არა მარტო ამა თუ იმ ერის მოწყობაზე, არამედ ყველა ერების მორიგებაზე, ყველა ერების თავისუფალ განვითარების უზრუნველყოფაზე. ერთი რომელიმე ერის ბედის მოწყობას კი არ უნდა ცდილობდეს პარტია, არამედ ერთნაირათ ყველა ერების ბედზე. ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ მხოლოდ ერთი რომელიმე ერისათვის ზრუნვას მისდევს. პარტია უნდა ყველა ერებს ზემოდან დაჰყურებდეს, რომ ყველა მათი საჭიროებანი ერთნაირათ გაითვალისწინოს და ცუდს სამსახურს უწევს პარტიას ის, ვინც ცდილობს პარტია გადააქციოს ორგანიზაციათ, რომელიც მხოლოდ ერთი რომელიმე ერის ინტერესებს ემსახურება.

დარწმუნებულნი ვართ, რომ პარტია მომავალშიც პირნათლათ აასრულებს თავის ბრწყინვალე მისიას, დარჩება კავკასიის ყველა ერთა შემარიგებელის როლში.

კავკასიის კოოპერატიული ყრილობა.

დღეს 15 ივნისს თფილისში გაიხსნება კავკასიის კოოპერატიული ყრილობა.

ჩვენი ნორჩ კოოპერატივების ცხოვრებაში ასეთი ყრილობა პირველია და ამიტომ ის მეტად საყურადღებოა. იმ დროს, როდესაც საშინელმა ომმა სულ ერთიანად არივ-დარია ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და განსაკუთრებით სასურსათო საქმე, აი სწორედ ამ კრიტიკულ დროს თავი იჩინა ჩვენში კოოპერატიულმა მოძრაობამ. პირველ ხანებში ეს მოძრაობა სუსტი იყო, მაგრამ მალე მოღონიერდა და სულ ერთიანად ჩაითრია ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში კოოპერატიულმა მოძრაობამ იმდენათ ჩაიგდო ხელში ჩვენი სასურსათო საქმე, რომ ძნელი წარმოსადგენია თუ რა გზას დაადგებოდა საზოგადოება, რომ კოოპერატივები არ დაარსებულიყო.

შედარებით მცირე დროის განმავლობაში კოოპერატივები ჩვენში ძლიერად განვითარდენ და ისე შეიჭრენ ცხოვრების შუა გულში, რომ ამ ჟამად მათ ვერაფერი ძალა ვერ წალეკავს.

შავბნელ რეაქციის დროს კოოპერატივებმა თავი მოუყარეს ჩვენს მოწინავე ამხანაგებს და აქ მათ პატარა საიმედო ბუდე გაიჩინეს, საიდანაც შედარებით თავისუფლათ ავრცელებდენ „ერთობის" იდეას.

დღეს უკვე დამსხვრეულია ბორკილები, ახალმა ცხოვრებამ ჩვენს კოოპერატივებს ახალი ვალდებულება დააკისრა, ვალდებულობა მძიმე და საპასუხისმგებლო. ბევრი საჭირბოროტო საკითხებია გადასაჭრელი და ვიმედოვნებთ, რომ კავკასიის კოოპერატიული ყრილობაც ამ საკითხებს ისე გადასჭრის, როგორც ამას ითხოვს ეხლანდელი მომენტი.

ჩვენი სალამი ამ ყრილობას.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(გაგრძელება იხ. „ერთობა" № 71).

აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. კონიევი. ამ საკითხის გადაჭრის დროს—ამბობს მომხსენებელი—ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს: 1. დემოკრატიული მოძრაობის გაღრმავება; 2. მოსპობა თავად-აზნაურობის ბატონობისა და გლეხთა მიწათმფლობელობის მტკიცე საფუძველზე დამყარება; 3 ისეთი ფორმით უნდა გადაჭრათ ეს საკითხი, რომ არ შეეფერხოს საწარმოო ძალთა განვითარება, რაზედაც ჩვენ ვამყარებთ იმედებს. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციამ წამოაყენა ლოზუნგი: „მთელი მიწა მთელ ხალხსო", ეს ლოზუნგი დღესაც გვიდგას წინ, მაგრამ როგორი, რა ფორმით უნდა განხორციელდეს იგი? ჩვენი პროგრამა მოითხოვს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და სხვილ მემამულეთა მიწების ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში გადაცემას და იმ მიწების, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ—ნაციონალიზაციას. წვრილ მიწათმფლობელობაზე კერძო საკუთრება არ ისპობა, ნორმას აწესებს თვით მუნიციპალიტეტი. მიწის მუნიციპალიზაციის უპირატესობანი ასეთია: 1. ჩვენში ზოგიერთ ადგილებში მიწის დიდი სივიწროვეა, გლეხები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან; მუნიციპალიტეტი, რომელიც გლეხებისაგან და ნახევრათ პროლეტარებისაგან იქნება შემდგარი, გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას, ვინაიდან მის ხელში გადავა მიწის რენტა; 2. თუ ამისთანავე შევძლებთ შემოსავლის და კაპიტალზე პროგრესიული გადასახადის შემოღებას, ამით გლეხებს განვათავისუფლებთ გადასახადების მძიმე უღლისაგან; 3. ხალხი თვით არკვევს თავის საქმეს, მუნიციპალიზაცია ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას; 4. მუნიციპალიტეტები უჩვენებენ გლეხებს გაუმჯობესებულ მეურნეობის მაგალითს, გააჩაღებენ საზოგადო მუშაობას, რაც შეამსუბუქებს ომიანობით გამოწვეულ საშინელ კრიზისს; 5. სხვა და სხვა კუთხეებში მცხოვრებთა რიცხვი არ არის თანასწორი, საჭირო იქნება გადასახლება თავისუფალ მიწებზე, რაშიაც მუნიციპალიტეტები დიდ როლს ითამაშებენ; 6. მუნიციპალიზაცია ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას და აწვავებს კლასთა შორის დამოკიდებულებას, რასაც მოითხოვს ჩვენი ინტერესები. მიწის ნაციონალიზაცია არ არის მისაღები, ვინაიდან იგი აძლიერებს ბურჟუაზიას, რომელიც მოეჭიდება მართვა-გამგეობას სათავეში. გვეტყვიან მუნიციპალიტეტებიც ხომ ბურჟუაზიული იქნებაო. მუნიციპალიტეტები ვერასოდეს ვერ მიმართავენ იმ ზომებს, რომელსაც შეუძლია მიმართოს სახელმწიფომ, მომხსენებელი ეხება ს.-რ. პროგრამას და აღნიშნავს, რომ მათ თავისი მოძღვრება გაჟღენთეს მარქსიზმით, დღეს ისინიც აღიარებენ, რომ სოციალიზმის განსახორციელებლათ საჭიროა შესაფერი პირობებიო, მაგრამ ასეთ პირობებათ მათ მიაჩნიათ კოოპერაციის განვითარება. სოციალიზაცია სპობს კერძო საკუთრებას წვრილ მამულებზედაც, ეს კი უტკივნეულოთ არ ჩაივლის, გლეხი თავის მიწას არავის არ დაუთმობს და ამით აამხედრებთ მათ რევოლიუციის წინააღმდეგ. მართალია, გლეხი ამბობს მიწა ღვთისაო, მაგრამ თავის ნაშრომში იგი არ აღებს ხელს და ვინაიდან ნაშრომის მიწიდან ჩამოშორება შეუძლებელია, ცხადია გლეხი არც მიწას დასთმობს. ს.-რ. უნდათ მიწის რაოდენობა განსაზღვრონ შრომის ნორმით (трудовая норма), მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან ინვენტარზეა დამოკიდებული ვინ რამდენს დაამუშავებს, ვისაც უკეთესი სამუშაო იარაღი აქვს, ის, რა თქმა უნდა, მეტსაც დაამუშავებს. და, ბოლოს, როგორ უნდა იმუშაონ მათ, ვისაც სრულებით არ გააჩნიათ ინვენტარი? ს.-რ. ამბობენ, სახელმწიფო მისცემსო, მაგრამ ეს უტოპიაა. თემი, რომელზედაც ს.-რ. აშენებენ თავის პროგრამას, არ არის მტკიცე, იგი თანდათან ირღვევა. იმ ადგილებში, სადაც კულტურულ მეურნეობას ეწევიან გლეხებს არ უნდათ ხშირათ მოახდინონ მიწების გადანაწილება. ეს ამტკიცებს კერძო საკუთრებისაკენ მისწრაფებას. ს.-რ. დიდ იმედებს ამყარებენ კოოპერაციაზე, მაგრამ კოოპერატივი მსხვილი წარმოებაა, რომელიც ასე აითვალისწუნეს სოციალ-რევოლიუციონერებმა, მათი შეხედულებით, სხვილი წარმოება არ არის ცხოველ მყოფელი, მაშასადამე კოოპერაციის განვითარებაც შეუძლებელი ყოფილა. მაგრამ, ვთქვათ, კოოპერაცია მაინც აღორძინდა, ტეხნიკის გაუმჯობესების გამო ზედმეტი მუშები სად უნდა წავიდნენ? ისინი იძულებული იქნებიან იქვე დარჩენ და შექნება განსაკუთრებული მდგომარეობა, ეკონომიურათ ძლიერი მუშები ექსპლოატატორების როლში გამოვლენ და თუ წარმოებაც გაფართოვდა, იგი აქციონერ საზოგადოებათ გადაიქცევა. უტოპიაა აგრეთვე დაქირავებული შრომის მოსპობაც. ამით მეტათ რთულ დამოკიდებულებათა რეგლამენტაციას კისრულობენ მაშინ, როცა მაგ. თფილისში ჩვენ ვერ მოგვიხერხებია მტკიცე ნიხრის შემოღება. სპობენ დაქირავებულ შრომას სოფელში, როცა იგი რჩება ქალაქში. ქალაქი და სოფელი კი ისე არიან გადაბმული ერთმანეთზე, რომ მათი დაშორება შეუძლებელია. მართალია გლეხთა სიეზდებზე ს.-რ. იმარჯვებენ, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ მათი პროგრამა ადვილი მისაღებია და მოსაწონია წვრილი ბურჟუაზიული ელემენტებისათვის, რომლებიც ფიქრობენ უცბათ ყველაფერი გაინაწილონ, მოაწესრიგონ, მორჩა და გათავდა. ეს ნამდვილი „მეშჩანური" სოციალიზმია და არავითარი კავშირი არ აქვს ნამდვილ სოციალიზმთან. დღევანდელი ჩვენი ტაქტიკის მიზანი უნდა იყოს გლეხების შეკავშირება როგორც პარტიულ, ისე არა პარტიულ მუშაობის ნიადაგზე, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მიწების ძალდატანებით ჩამორთმევას, ეს გამოიწვევს დღეს ანარქიას, ვინაიდან შეკავშირებულათ მოქმედება შეუძლებელია. ეს წვრილი ბურჟუაზიის ბუნტარული ლოზუნგია.

კამათის დაწყებამდე მომხსენებელს აძლევენ რამდენიმე შეკითხვას, რომლებზედაც გაცემული პასუხი ასეთია: სახაზინო მიწების ის ნაწილი, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს გადადის სახელმწიფოს ხელში, დანარჩენი—ადგილობრივ თვითმართველობის განკარგულებაში. მუნიციპალიტეტის ხელში გადადის აგრეთვე ის მიწებიც, რომლებიც გრძელ ვადიანი იჯარით იყო გაცემული, ჩვენ ვიცავთ წვრილ მესაკუთრეებს და არა წვრილ საკუთრებას, ამისთვის ყოველთვის უპირატესობა მიეცემა წვრილ მესაკუთრეებს, მაგრამ ისე კი, რომ ამან ხელი არ შეუშალოს საწარმოო ძალთა განვითარებას. სხვილი თვითმართველობა უნდა წარმოადგენდეს ეკონომიურათ მთლიან ერთეულს, როგორც მაგ. მთელი ამიერ კავკასია. წვრილ მესაკუთრეებს და იმათ, ვისაც სრულებით არ გააჩნიათ მიწა, აგრარულ საკითხის გადაჭრამდე უნდა დაეხმარონ ადგილობრივი ორგანიზაციები. ქალებსაც აქვთ უფლება მიიღონ მიწა.

ამხ. ჯალალხეგოვი აღნიშნავს, რომ გლეხების შეკავშირების საქმე მეტად ძნელ მდგომარეობაშია განსაკუთრებით მუსულმანთ შორის, რომლებიც ისევ ძველ სულთამხუთავების ხელში ჩავარდნილნი.

ამხ. გრ. ურატაძე ამბობს, რომ ჩვენი პროგრამის ძირითადი დებულებაა თავად-აზნაურობის დაუძლურება და ჩამორთმეულ მიწების ისე მოხმარა, რომ გლეხები არ ამხედრდენ. რაც შეეხება წვრილმან კითხვებს, ასეთები აუარებელია და დღეს ვერავინ მოგვთხოვს აქ მათ შესახებ ავტორიტეტულ პასუხს, ისინი ადგილობრივ გადაიჭრება.

კამათი გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

წაკითხულ იქნა თელავის ამხანაგებისაგან გამოგზავნილი მისალმება დეპეშა. ამხ. წულაძე აცხადებს, რომ ერთმა ჯგუფმა განიზრახა ფედერალისტთა და მუსულმანთა გაერთიანებისათვის ზომების მიღება და მოუწოდა ამხანაგებს დაიჭირონ ამ საკითხის შესახებ სათათბიროთ. წინადადებას უერთდება ამხ. ჯიბლაძეც. კამათიდან გამოირკვა შეთანხმების სურვილი. ამ. ნოე რამიშვილის წინადადებით სიეზდი ესალმება წულაძისა და ჯიბლაძის წინადადებას და გადავიდა მორიგ კითხვებზე.

წაკითხულ იქნა ჩხეიძე, სკობელევ და წერეთლისათვის გასაგზავნი შემდეგი დეპეშა: „ამიერ კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციების თფილისში შეკრებილი საოლქო სიეზდი გესალმებათ თქვენ, როგორც თავის წარმომადგენლებს, რომლებიც მტკიცეთ იცავთ პროლეტარიატისა და მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის ინტერესებს. ამიერ კავკასიის სოციალ დემოკრატია, მუდამ ერთგული ინტერნაციონალურ დროშისა, ძველი წყობილების დანგრევის და მსოფლიო იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ამ ისტორიულ მომენტში მოელის თქვენგან გაბედულ ნაბიჯებს ინტერნაციონალის აღსადგენათ და ომის საერთაშორისო მასშტაბით დაჩქარებით ლიკვიდაციისათვის, ანექსიაზე და კონტრიბუციაზე ხელის აღების გზით და ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე და აგრეთვე დამფუძნებელ კრების დაუყონებლივ მოწვევისათვის".

(მესამე დღე, 13 ივნისი).

თავმჯდომარეობს **ნოე რამიშვილი.** გრძელდება კამათი აგრარულ საკითხზე.

ამხ. **დ. ონიაშვილი.** მომხსენებლის პასუხმა იმის შესახებ, თუ ვის ხელში უნდა გადავიდეს მიწები, რომლებსაც სახელმწიფოებრივ მნიშვნელობა აქვთ, მე სრულიად ვერ დამაკმაყოფილა. მაგ. ნავთის სამრეწველოები ჩვენ რომ სახელმწიფოს გადავცეთ, ამას მუსულმანები სამრეწველოს პატრონები) ნაციონალურ ნიადაგზე გადაიტანენ. მე არ მინდა ზედმეტი ქონება ჩაუგდო ხელში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. მე მოვითხოვ ეს საკითხიც გადაიჭრას ჩვენი პრინციპის თანახმათ და ასეთი ადგილები გადაეცეს ადგილობრივ სხვილ პოლიტიკურ თვითმართველობებს, რომლებიც დაარსდებიან მომავალში, როგორათაც არ უნდა გადაიჭრას ნაციონალური საკითხი, სახელმწიფოს შეუძლია ისარგებლოს ამ მიწებით, მაგრამ ის უნდა იყოს ადგილობრივ მმართველობის განკარგულებაში. მე გამოვდივარ დეცენტრალიზმის პრინციპისაგან აგრარულ საკითხში, მომხსენებელი კი—ცენტრალისტურ პრინციპით ხელმძღვანელობს.

ამხ. **კუდრიაშინი** წინააღმდეგია ონიაშვილის მოთხოვნილებისა იმ მოსაზრებით, რომ თუ ყველა მიწები მუნიციპალიტეტებს გადავეცით, ერთი ძალზე გამდიდრდება, მეორე კი გაღატაკდებაო.

ამხ. **დადიშკელიანი** ეხება მიწათმფლობელობას სვანეთში. ზემო სვანეთი—ამბობს იგი—იყოფა სამ ნაწილათ. თავისუფალი, სადადიშკელიანო და სახაზინო სვანეთი, ყველა ნაწილებში მიწათმფლობელობის ფორმაც სხვადასხვაა. სადადიშკელიანო სვანეთში ბატონყმობის დროს ბატონს მხოლოდ გლეხი ეკუთვნოდა, მიწაზე მას არავითარი უფლება არ ჰქონდა და იგი გლეხის საკუთრებას შეადგენდა. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დადიშკელიანებმა ქუა იხმარეს, ხუთ-ხუთი ქცევა ჩამოუჭრეს გლეხებს საკუთრებათ, დანარჩენი მიწები თვითონ მიისაკუთრეს. გლეხები დღესაც მესაკუთრეთ არიან გამოცხადებული, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან: მიწაც და გლეხიც დღეს დადიშკელიანს ეკუთვნის. ხალხი გამრავლდა, მიწებს იჯარით იღებს და დადიშკელიანს შეუძლია ყოველ წუთში გარეკოს მოიჯარადრენი, ვინაიდან ეს იჯარაა და არა ნადელი. საიჯარო მიწების ჩამორთმევა გლეხებში დიდ უკმაყოფილობას გამოიწვევს, ეს მიწები უნდა დარჩეს მათ საკუთრებათ.

თავისუფალ სვანეთში გლეხები ცხოვრობენ. მათ დასაბამიდან არ იციან რა არის ბატონი. მართალია, დადიშკელიანები ხშირათ ესხმოდენ მათ, მაგრამ ისინი იარაღით ხელში იცავდენ თავისუფლებას. წელიწადში მხოლოდ ექვს აბაზს იხდიან ხაზინის სასარგებლოთ. ტყეები და საძოვარი საერთო საკუთრებათ აქვთ და თუ ისინი ჩამოართვით და მუნიციპალიტეტს გადაეცით—დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევთ.

სახაზინო სვანეთი კ. დადიშკელიანს ეკუთვნოდა, მაგრამ სახელმწიფომ ჩამოართვა გუბერნატორის მოკვლის გამო. აქ მცხოვრები გლეხები სახელმწიფო გადასახადს იხდიან სახნავ მიწებში, ტყე კი ხაზინას ეკუთვნის. ამნაირათ სვანეთში გლეხებისათვის სახნავ სათესი მიწების ჩამორთმევა ყოვლად შეუძლებელია, საკმარისია დადიშკელიანებს ჩამოერთვათ ტყეები.

ამხ. **ჩიქავა** კითხულობს ჩვენი აგრარული პროგრამის იმ პუნქტებს (3,4) საიდანაც ცხადია, რომ ჩვენი პროგრამა მეტათ ფართო ხასიათისაა, ზოგიერთი მიწები გადადის სახელმწიფოს ხელში, დანარჩენი კი სხვილ ან წვრილ თვითმართველობის ხელში. შესაძლებელია აგრეთვე გლეხებს მიეცეს მიწები ზოგიერთ შემთხვევაში კერძო საკუთრებათაცო. რაც შეეხება ბორჯომის ხეობას, ეს კერძო საკითხია, ასეთები შეიძლება ბევრი იყოს. ჩვენთვის დღეს მთავარი მნიშვნელობა აქვს პროგრამის ძირითად დებულებებს, დეტალებს კი არჩევს სადაგილ-მამულო კომიტეტები და ჩვენც უნდა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მათ მუშაობაში.

ამხ. **გ. კონიევი** საპასუხო სიტყვაში პირველათ იძლევა პასუხს შემდეგ შეკითხვაზე. ქ. სოხუმს აქვს 4 ათასი დესეტინა მიწა, რომელიც იჯარით არის გაცემული გლეხებზე. ქალაქის თვითმართველობაც მეტათ დემოკრატიულია; როგორ იქნება საქმე აგრარულ საკითხის გადაჭრის დროს? მომხსენებელი უპასუხებს, რომ ეს მიწები, როგორც სხვა შემთხვევაშიაც, დარჩება თვითმართველობის ხელშიო. შემდეგ მომხსენებელი ეხება უმთავრესათ დ. ონიაშვილისა და დადიშკელიანის სიტყვებს და ამბობს რა ფორმითაც არ უნდა გადაიჭრას ნაციონალური საკითხი, სახელმწიფო მაინც დარჩება, როგორც ასეთი დარჩება ერთი ცენტრალური მართვა-გამგეობა. ყოვლად შეუძლებელია ისეთ რაიონების, როგორიც არის ურალი, დონეცის ოლქი, ციმბირის მიწებით მდიდარი ოლქები და სხვა მუნიციპალიტეტების ხელში გადაცემა. არის მეტათ ღატაკი რაიონები, იქ არაფერი არ მოიპოვება საყურადღებო და თუ ასეთ სიმდიდრეს ჩვენ ერთ რომელიმე მუნიციპალიტეტს გადავცემთ—ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა. მართალია, ამითაც რამდენიმეთ ვმეტებთ ძალას ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მაგრამ მეტი გამოსავალი არ არის [illegible] გზაში შედარებით უმჯობესი [illegible]. ონიაშვილი ამბობს, რომ ასეთი ადგილებით სარგებლობის უფლება მაინც სახელმწიფოს ექნებაო. როგორ უნდა გავიგოთ ეს? თუ მაგალითად გადასახლებისათვის საჭირო თავისუფალ მიწას თქვენ ტოვებთ თვითმართველობის განკარგულებაში, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო, როცა მას სურს ამ მიწაზე გადმოასახლოს ვინმე, ისარგებლოს მითი და თვითმართველობა კი ამის წინააღმდეგია? ვინაიდან ნაციონალურ საკითხში ჩვენ ცენტრალისტები ვართ, საჭიროა ზოგად სახელმწიფოებრივ ხასიათის მიწების ცენტრალიზაცია. რაც შეეხება დადიშკელიანის სიტყვას, თუ გლეხები სადმე ისე უყურებენ საიჯარო მიწას, როგორც თავის საკუთრებას, ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება მიწების მათ შორის განაწილება კერძო საკუთრებათ. მაგრამ ესეც კერძო ხასიათის საკითხია, ჩვენ აქ შეგვიძლია სახელმძღვანელო პრინციპების გამომუშავება და შემდეგ თითოეულ ამხანაგის საქმეა თუ როგორ განავითარებს მათ ადგილობრივ პირობების მიხედვით.

წაკითხულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გადაეცა პრეზიდიუმს მომხსენებელთან ერთად დასამუშავებლათ.

ამის შემდეგ დამფუძნებელ კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **იშკოვმა.** ერთადერთი გამოსავალი ომიანობით შექმნილ კრიზისიდან არის დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევა, რომელიც მიიღებს ავტორიტეტულ ზომებს ომის ლიკვიდაციისათვის და ბოლოს მოუღებს იმ ექსცესებს, რომლებითაც ასე სიხარულით სარგებლობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, უნდა შევუდგეთ არჩევნებისათვის სამზადისს, მაგრამ არ უნდა უღალატოთ ჩვენს პრინციპებს, არ უნდა ვცდილობდეთ ხმების შეკრებას პრინციპებისათვის ღალატით. ბურჟუაზიული პრესა ცდილობდა დამფუძნებელი კრების მოქმედება განესაზღვრა მარტო სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის საკითხის გადაჭრით, მაგრამ დღეს თანდათან ირკვევა, რომ იქ უნდა გადაიჭრას სხვა საყურადღებო საკითხებიც, როგორიც არის საკითხი ომისა და ზავის, სოციალური, მუშათა საკითხი და სხ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და ამრჩევლებმა უნდა მისცენ დეპუტატებს ნაკაზი, აუცილებლათ წამოაყენონ ეს საკითხები დამფუძნებელ კრებაზე.

მომხსენებელი კითხულობს რეზოლიუციას. ამხ. წულაძე იძლევა წინადადებას მოვსთხოვოთ დროებით მთავრობას მიიღოს კონკრეტიული ზომები დამფუძნებელი კრების რაც შეიძლება მალე მოსაწვევათ. რეზოლიუცია უკამათოთ იქნა მიღებული და გადაეცა პრეზიდიუმს მომხსენებელთან ერთად დასამუშავებლათ.

ვენე ალათიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების წინასწარი თათბირი.

10 ივნისს მოხდა ს. დ. დელეგატების თათბირი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ნოე რამიშვილი, მდივნათ ვიქტორ ნინიძე. თათბირმა მოისმინა მოხსენებები სხვადასხვა ადგილებიდან.

ამხ. გ. შილაკაძე (გურიის წარმომადგ.). გურია დაყოფილია 22 საზოგადოებათ, რომლებიც იყოფა სოფლებათ. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ძირითად ორგანიზაციულ ერთეულს, სოფლის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შედგება რაიონული კოლექტივი, რომელიც ყოველ 100 წევრზე თითო წარმომადგენელს გზავნის გურიის ცენტრალურ კომიტეტში. პარტიის წევრთა რიცხვი დღეს 5800 უდრის. იდეიური მხარე მუშაობისა დღევანდლამდე არ იყო სასურველათ მოწყობილი, ვეწეოდით საერთო ზოგად დემოკრატიულ მუშაობას. 3 მაისიდან არსდება ლექტორთა კოლეგია, რომელიც აწყობს ლექციებს სხვადასხვა კუთხეებში. ს.-დ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაარსდა აგრეთვე ოზურგეთის და მისი რაიონების დაქირავებულ მუშათა ასოციაცია, რომელშიაც უკვე ჩაეწერა რამდენიმე ასი წევრი—ნოქრები, ჩაის პლანტაციის მუშები, მეჩოველები, აბრეშუმის ძაფის ამომხვევლები, მუშა ქალები, ბანკებში, კოოპერატივებში და სხვა დაწესებულებებში მომუშავენი. პარტიაში ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. როგორც ყოველთვის, დღესაც ს. დ. გავლენა გურიაში მეტათ დიდია. სხვა პარტიები აქ არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. ოზურგეთში, მაგ. ს.-ფ. და ს.-რ. მიმდევრებს თითზე ჩამოითვლით, ნაც. დემოკრატებს კი მხოლოდ ერთი წევრი ჰყავთ.

პარტიაში წევრთა მიღება ხდება წესდების თანახმათ, ეს იწვევს უკმაყოფილებას და დღეს ვიღებთ იმათაც, ვინც კი თავის წარსულით და ყოფაქცევით ჩირქს არ მოსცხებს პარტიას.

ამხ. პრ. დოლიძე (ფოთი). რეაქციის დროსაც არსებობდა ორგანიზაციები, მაგრამ მეტათ მცირე რიცხოვანი. 24 მარტიდან დავიწყეთ ფართო მუშაობა და წევრთა რიცხვი ჯერჯერობით უდრის ადგილობრივ მცხოვრებთა (უმთავრესად მუშები) 2000, სამხედრო სექციის—600. ყველაზე მეტი გავლენა ჩვენ პარტიას აქვს. მუშათა საბჭოში 25 წევრში 23 ჩვენია. აღმასრულებელ კომიტეტის 23 წ. 13 ს.-დემოკრატია, დანარჩენთა დიდი უმრავლესობა უპარტიოთაგან შესდგება. პარტიამ

მოაწყო მუშათა კლუბი, დემოკრ. ქალთა წრე, ჯარისკაცთა კლუბი, სადაც ჩვენები ხელმძღვანელობენ.

ამხ. ა. ანჯაფარიძე. (სამეგრელო, სენაკის მაზრა). რევოლიუციამდეც არსებობდა ვიწრო „იაჩეიკები", რომლებშიც სულ 5—6 კაცი შედიოდა. ვეწეოდით უმთავრესად დემოკრატიულ მუშაობას, კოოპერატივებში და სხ. რომ შეგვენარჩუნებია ხალხში მოპოებული ნდობა.

რევოლიუციონური გამოსვლები ჩვენი ხელმძღვანელობით ხდება. სოფლებშიაც ვეწეოდით ორგანიზაციულ მუშაობას. თუკი სადმე სხვები მიგვასწრებდნენ, ხალხი მათ მანდატს სთხოვდა და თუ ს.-დ. წარმომადგენელი არ აღმოჩნდებოდა, რომელმაც ასე დიდი გავლენა მოიპოვა თავის მოღვაწეობით ხალხში—ისინი მათ უნდობლობას უცხადებდენ. მოვიწვიეთ დამფუძნებელი კრება, გადავაყენეთ ძველი კომიტეტი და ახალი ავირჩიეთ, რომელშიაც ჩვენები გავიდნენ. წმინდა პარტიულ მუშაობისთვის არ გვცალია. მოვაწყვეთ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, ავლაგმეთ ყაჩაღები, რომელთა ბრბოს აკლებული ჰყავდა მთელი სამეგრელო, დავაარსეთ მომრიგებელი კამერები, სასურსათო კომიტეტი, მოვახდინეთ სასამართლოების რეორგანიზაცია და სხვ. მაისიდან დავიწყეთ წმინდა პარტიული მუშაობა, მოვაწყვეთ, სხვათა შორის, პირველ მაისის დღესასწაული, ყველგან ჩვენს რეზოლიუციებს ღებულობდა ხალხი. აქაც სოფელი წარმოადგენს ძირითად ერთეულს. სასოფლო კოლექტივი პირდაპირი არჩევნებით გზავნის თითო წარმომადგენელს სარაიონო კომიტეტში, რომელიც ორ წარმომადგენელს გზავნის სამაზრო კომიტეტში. სულ სენაკის მაზრაში 28 სასოფლო კოლექტივია, 7—სარაიონო კომიტეტი. სენაკის მაზ. პარტიაში ირიცხება დღეს 6,212 წევრი. ჩვენი გავლენა დიდია. მაგ., აღმ. კომიტეტში ახალი არჩევნების დროს ჩვენ გვინდოდა სხვა პარტიების წარმომადგენლებიც გაგვეყვანა, მაგრამ ხალხმა არ ჰქნა. მოვაწყვეთ პარტიული კლუბი ახალსენაკში, აბაშაში, ზანძაში და მარტვილში. კვირაობით ვმართავთ საუბარს ხალხთან. ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიულ მუშაობაში, მოითხოვენ ცალკე პარტიული წრის დაარსება, მაგრამ დღეს ჩვენთან მუშაობენ. ინტელიგენ ქალებს განზრახული აქვთ დაარსონ სამეცადინო წრე თვითგანვითარებისათვის.

ვ. ღლათიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 12—13 ივნისი).

პეტროგრადის გაზეთების აზრი ბოლშევიკების მოქმედების შესახებ.

პეტროგრადი. პეტროგრადის გაზეთები გარდა „პრავდა"-სი სასტიკათ ჰკიცხავენ ბოლშევიკებს, რომლებსაც უნდოდათ მოქალაქობრივი ომი. ამ გამოსვლას ახასიათებენ ისე, როგორც რევოლიუციის მახვილის ჩაცემას ზურგში, როგორც პროვოკაციას, მოღალატეობას. „დენი" სწერს: „მოღალატეებსა და გამყიდველებთან არავითარი საერთო არა აქვთ რევოლიუციისთვის ჭეშმარიტ მებრძოლებს. მათ პოლიტიკური ბოიკოტი უნდა გამოუცხადოთ". „ედინსტვო" სწერს: „პროვოკატორს ლენინელისგან ძნელათ გაარჩევს კაცი". საჭიროა არჩევანი, ის წინამძღოლნი, რომელთა მოღვაწეობა პროვოკატორისგან არ განსხვავდება უნდა განზე დადგენ". „რაბოჩაია გაზეტა" ფიქრობს, რომ მაქსიმალიზმის შიშის შესახებ ყველას უნდა ვამცნოთ. „დეპუტატთა საბჭოს იზვესტია" სწერს ბოლშევიკ-ლენინელების პარტია მთელი კვირის განმავლობაში ემზადებოდა იმ გამოსვლისთვის, რომელიც დაჰგმო საბჭოთა ყრილობამ. ერთ მუჭა უმცირესობას უნდოდა თავის ნება სურვილი მოეხვია თავზე რუსეთისთვის. „ნოვაია ჟიზნი" წერს: „ბოლშევიკების ტაქტიკამ კინაღამ ისეთი ამბები დაატრიალა, რომლებიც რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში საზიზღარ სტრიქონებს შეიტანდა". „დელო ნაროდას" აზრით „ბოლშევიზმი გაქანდა პოლიტიკურ თვითმკვლელობისაკენ. ჯერ კიდევ მოსალოდნელია ხიფათი. რევოლიუციის გამყიდველთა პროვოკაციამ ვერ გაიმარჯვა—სწერს „რეჩი". ეჭვი არაა ეს ბოროტი ელემენტები ჯერ იარაღს არ დაჰყრიან. ამას ბოლო უნდა მიეღოს".

„ბირჟ. ვედ." ფიქრობს, ბოლშევიზმმა დიდი ზნეობრივი დამარცხება განიცადა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქო ჩვენ პროვოკაციაზე გავიმარჯვეთ. საჭიროა მთელი ქვეყნის დემოკრატია მჭიდროთ შემოკრბეს ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის გარშემო.

„ნაროდნოე სლოვო" მწუხარებას აცხადებს, რომ ყრილობამ თვით აკრძალა დემონსტრაცია, მის მაგიერ, რომ ეს დროებით მთავრობას მოეხდინა. „დენი"-ს აზრით ბოლშევიზმს თავში ჩასცხებენ, მაგრამ ეს სასიკვდილო არ იქნება. საჭიროა ყრილობამ რუსეთის დემოკრატიას მიმართოს და აუხსნას ბოლშევიკური ზრახვანი. „პრავდა" სწერს: „დემონსტრაცია გადაიდო, მაგრამ ბრძოლის საკითხი კი არა. მოვიკრიფოთ ძალა ამ ბრძოლისათვის. მოსკოვის ყველა გაზეთები, გარდა „სოციალდემოკრატისა" აღნიშნავენ ბოლშევიკების მხდრობის წინააღმდეგ გამოსვლას და ჰკიცხავენ მას. „რუსსკოე სლოვო" მოუწოდებს დაჰგმონ ბოლშევიკები, როგორც სამშობლოს მოღალატენი. ასეთივე აზრის არის „რუს. ვედ.", „ტრუდი" და სხვა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობა.

(პ. დ. ს.)

11 ივნისის კრება დაიწყო ყაზახთა წარმომადგენლის ტკაჩოვის სიტყვით. „ყაზახთა საერთო ყრილობამ გამოგზავნა მე გიძღვნათ გულწრფელი სალამი და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა. ყაზახები იზიარებენ ყრილობის უმრავლესობის აზრს". თუმცა ყაზახთა ყრილობას ჯერ თავისი რეზოლიუცია არ გამოუტანია, მაგრამ წინასწარი მუშაობა ამტკიცებს, რომ ის ამ ყრილობასთან არის სულითა და გულით. ყაზახები გრძნობენ, რომ ის მთავრობა, რომელიც სათავეში უდგას რუსეთს და რომელმაც უნდა მიიყვანოს დამფუძნებელ კრებამდე, სანამ ეს უკანასკნელი რუსეთის ჭეშმარიტი პატრონი, გამოიტანდეს თავის დადგენილებას, ეს მთავრობა მთელი ქვეყნის შემაერთებელი და გამგეა (ტაში).

ტკაჩოვის სიტყვის შემდეგ განაგრძეს კამათი ომთან დამოკიდებულების შესახებ. უმცირესობის სახელით გამოვიდა პრაპორჩიკი კრილენკო, ლუნაჩარსკი, ზინოვიევი და ერმანი. პირველი დაემყარა რა მის მიერ 5 პოლკისგან მიღებულ რეზოლიუციას, ამტკიცებდა, რომ პირველი დღის რევოლიუციონური აღფრთოვანება გაქრა და თუ არ ასეთი აღფრთოვანება სამხედრო მოქმედება არ შეიძლება უზრუნველ ყოფილი იქნეს. აღფრთოვანების შესაქმნელათ საჭიროა დარწმუნება იმაში, რომ ჯარის-კაცები ხალხის საქმისთვის კვდებიან. ამ დარწმუნებას შექმნის მთელი ძალა-უფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლა. ლუნაჩარსკი განმარტავს უმცირესობის პოზიციას და ამბობს, რომ უმცირესობას იმედი აქვს, როცა რევოლიუცია უმწვერვალეს წერტილს მიაწევს მოხდება აფეთქება, რომელიც ერთბაშათ შესცვლის საქმის მსვლელობას. ზინოვიევი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი მარტო ბოლშევიკები დარჩნენ ინტერნაციონალის ერთგულნი.

შემდეგში ილაპარაკა ვანდერველდემ. „სოციალისტებ შორის კავშირი ეხლა უფრო მეტათ საჭიროა ვიდრე ოდესმე. რუსეთი მრისხანე მომენტს განიცდის. ის სრული დეზორგანიზაცია ცხოვრების ყოველ დარგში, რომელიც ძველმა მთავრობამ დასტოვა დიდ ძალას და ენერგიას თხოულობს, საჭიროა შეერთება ერთი გაერთიანებული ძალით მუშაობა. კითხვა ასე დგას: „გამეფდება ისევ დესპოტიზმი თუ ხალხი თავისუფლების ჰაერს ჩაჰყლაპავს. (ტაში). სამი წლის წინათ მე მოვუწოდებდი ხალხს ნაციონალურ ნიადაგზე კავშირისკენ. მე მწამს, რომ ეხლა შესაძლებელია საერთაშორისო კავშირი ყველასთან, ვისაც სურს მისცეს ხალხს თვითგამორკვევის უფლება, მისცეს თავისუფლება შინაურ და გარეულ ბატონების დამოუკიდებლათ (ტაში). ჩვენ სრულიად თანახმა ვართ თქვენთან მიზნებში. ჩვენ უარვყოფთ ომს, გარდა თავისუფლებისა და დაცვისათვის გამოწვეულს; ჩვენ არ გვინდა მიწების წართმევა და კონტრიბუციის დადება, მაგრამ განსხვავებაა ბრძოლის საშვალებისა და მეთოდში. სხვაფრივ არ შეიძლება. ამდენი ხანია ჩვენ გვყოფდა ომი. თქვენ ეს არის დაასაფლავეთ დესპოტიზმი და ნეტარებით მთვრალები ხართ. ჩვენ ომამდე თავისუფლები ვიყავით. ეხლა ჩვენ ძმები ვართ. ბელგიელი მუშები ვილჰელმის ყმებათ გაიხადა. მე ვამბობ: მე რომ რუსი ვიყო ისე ვიფიქრებდი, როგორც თქვენ, ხოლო თქვენ, რომ ბელგიელი პროლეტარი იყოთ, რომ თქვენ ისე იტანჯებოდეთ, როგორც იტანჯება ბელგია თქვენც ისე იფიქრებდით როგორც ბელგია. მაგრამ განსხვავება ძლიერ მცირეა იმ ინტერნაციონალურ კავშირის, რომელიც არსებობს ჩვენსა და ნემეც ამხანაგებ ლიუქსენბურგსა და ლიბკნეხტას გულში, რომელიც სატუსაღოს ცივ კედლებში სიყვარულით და მომავლის იმედით აღვსილი ფეთქს. (ტაში) სამი წელია რაც ბელგია მტრის ხელშია, მის ხელშია ხალხის სული. მუშები სხვა უცხო ქვეყანაში გაიქცეს. სოციალისტური ბელგია ფრიად სამწუხარო დღეებს განიცდის. მაგრამ ამ წელს ერთი ფრიად სასიხარულო დღეები იგემეს ბელგიის მუშებმა. დღეები როცა სოციალისტურმა ბელგიამ გაიგო, რომ პეტროგრადი აჯანყდა და მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, რომ ცეცხლი, რომელიც იქ აგიზგიზდა მთელს ევროპას ანსწვავს. (მქუხარე ტაში). არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ამ დიად სიხარულს ცოტა ეჭვი ჩაეწვეთა. გვ ფიქრობდა შესძლებდა თუ არა რუსეთის რევოლიუციამ მიზნის შესრულებას, რომელიც მას წინ რევოლიუციამ დაუყენა. ამდენი ხნის თქვენ შორის ყოფნის შემდეგ იმედებით აღსავსე გულით მივდივარ. ჩემს თვალწინ შესდგა კოალიციური მთავრობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივ ძალების კომიტეტი არის. ჩვენ ვართ მოწმე რა ენერგიით მუშაობს კერენსკი რევოლიუციონურ ჯარის ორგანიზაციულათ მოსაწყობათ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა, რომელიც დაასრულებს ამ რევოლიუციას. მე და ჩემი ქვეყნის მუშები და ჯარისკაცები სალამს ვუძღვნით რუსეთის მუშებსა და ჯარისკაცებს. ყოველი რევოლიუციის ტალღა ერთი ქვეყნიდან მეორეში მიექანებოდა, ამიტომ გვწამს, რომ რუსეთის რევოლიუცია გაანთავისუფლებს მთელ მსოფლიოს. (ტაში). ჩვენ დავუბრუნდებით ბელგიელ ჯარისკაცებს ფრონტზე. და აღელვებული გეუბნებით: მშვიდობით! არა, მშვიდობით კი არა, ნახვამდის, ნახვამდის მანამდე, სანამ მთელი ევროპა განთავისუფლდება, როცა ინტერნაციონალი თავის სიმაღლეზე დადგება და ძლიერათ გაშლის ფრთებს. გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს თავისუფლებას! (მქუხარე ტაში).

ჩხეიძემ მთელი ყრილობის სახელით მადლობა გადაუხადა ვანდერველდეს და განუცხადა, რომ რუსეთის დემოკრატიას კარგათ ესმის რა ტანჯვას განიცდის ამ ომის გამო ბელგიის პროლეტარიატი. თქვენ ჩვენზე უფრო კარგათ იცით რომელი გზა მიგვიყვანს ჩვენ მშვიდობიანობისაკენ. თქვენ უფრო კარგათ გესმით საერთო მშვიდობიანობის იდეისთვის ბრძოლის მნიშვნელობა. ჩვენ ვამბობთ: რუსეთი ერთი გრძნობით სცხოვრებს. რაც ჩქარა მოხდება ზავი იმ პლატფორმით, რომელიც მან წამოაყენა მით უკეთესი. სხვა გვარი ზავი ჩვენ არ გვინდა. მოდით, ამხანაგო ვანდერველდე, იმუშავეთ ჩვენთან, მოუწოდეთ მშვიდობიანობისაკენ და გახსოვდეთ, რომ რუსეთის რევოლიუციას რაც აქვს იმის მეტის მოცემა არ შეუძლია. გახსოვდეთ აგრეთვე, რომ ბელგიის თავისუფლება ისეთივე ძვირფასია ჩვენთვის როგორც რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის. გაუმარჯოს თავისუფალ ბელგიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს. გაუმარჯოს სოციალიზმს. (მქუხარე ტაში).

უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა დანმა, რომლითაც ამტკიცებს, რომ ყრილობამ უთუოთ უნდა უარჰყოს ლენინის და მარტოვის ტაქტიკა, რომელიც სეპარატიულ ზავამდე მიგვიყვანს და რუსეთის რევოლიუციას სამარეს გაუთხრის. ლენინის გზას, როგორც პეტროგრადის ამბებმა დაგვანახვეს, რუსეთის რევოლიუცია უფსკრულისაკენ მიჰყავს, მარტოვის გზა გვართმევს ჩვენ ფულებს და იარაღს. ყრილობამ სწორე გზა უნდა აირჩიოს მშვიდობიანობისკენ მისასვლელი.

როზანოვი მოხსენებას აკეთებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომ პეტრ. მუშ. და ჯ. კ. დეპ. საბჭ. აღ. კომიტეტმა უარჰყო ციმერვალდელების წინადადება, რადგან მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ხალხში ჰოლლანდია-სკანდინავიის კომიტეტი უარყოფილ უნდა იქნას, რადგან მას მოკავშირეთა პროლეტარიატი არ ენდობა. პეტროგრადის ინიციატივს სიხარულით შეხვდენ. წინააღმდეგობას მხოლოდ ბურჟუაზია უწევს, რომელსაც არ უნდა სოციალისტების შეერთება. არის კიდევ დაბრკოლება, რომელსაც გადავლახავთ და კონფერენცია შესდგება. შესაძლებელია მას ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები ექნეს.

ყრილობა დაიხურა.

11 ივნისი. (ყრილობის ანგარიშის ნაწილი ჯერ არ მიუღია დეპეშათა სააგენტოს). ზინოვიევი ამტკიცებს, რომ ბოლშევიკების იდეა უტოპიზმი არ არის.

ფრონტის წარმომადგენელნი ორატორები ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიკებს უფლება აქვთ რა აზრიც უნდათ გამოსთქვან, ხოლო უკეთუ უმრავლესობა იმ აზრის იქნება, რომ შეტევა დავიწყოთ, უმცირესობა ვალდებულია ამ აზრს დაეთანხმოს. როცა შეტევის საკითხი ყრილობაზე გადაწყდება ის აღარ იქნება პოლიტიკური საკითხი, არამედ წმინდა სტრატეგიული (გაგრძელება ჯერ არ მიგვიღიათ).

ახალი ამბები

◆ **ამხ. მიშა არსენიძეს** ს.-დ. საოლქო ყრილობამ თანაგრძნობა გამოუცხადა ავათმყოფობის გამო და უსურვა მალე განკურნება, რომ კვლავ განაგრძოს ნაყოფიერი მუშაობა. ამხ. მიშა ამ ჟამათ თავს შედარებით უკეთ გრძნობს.

◆ **ტრამვაის მოსამსახურენი** მოითხოვენ ქალაქის გამგეობისაგან კვირა-უქმე დღეებში ზედმეტი სამუშაო ქირის მომატებას. მოთხოვნა 12 ივნისს წარუდგინეს ქალაქის გამგეობას, რომელიც გამგეობამ შემრიგებელ „კამერას" გადასცა.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენლების** ყრილობა გაიხსნება დღეს და გაგრძელდება 20 ივნისამდე. ყრილობა შემდეგ საკითხებს გაარჩევს: რევოლიუცია და კოოპერაციის დანიშნულება; სასურსათო საკითხის საქმის მოწესრიგება და კოოპერაციის როლი ამ საქმეში; ფინანსიური დახმარება კოოპერატივებს; კოოპერატივებში კულტურულ განმანათლებელი მუშაობის შესახებ; ადგილობრივ თვითმართველობათა და დამფუძნებელი კრების არჩევნებში კოოპერატივების მიერ მონაწილეობა. ამას გარდა ყრილობა მოისმენს და განიხილავს მოხსენებებს საკრედიტო, მომხმარებელ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ.

◆ **ბათუმ ტრაპიზონის რკინის გზის** ლიკვიდაციის გამო კითხვა აღიძრა მოსამსახურეთა დასაჩუქრების შესახებ. გადაწყდა მოსამსახურეებისთვის ორ-ორი თვის ჯამაგირი მიეცათ, მაგრამ მოსამსახურენი არ დაეთანხმნენ და აპირობენ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე განსაკუთრებული შუამდგომლობის აღძვრას.

◆ **აგარაკების მოსაწყობათ** პოლიტიკურებისათვის აბასთუმანში და ბორჯომში საგანგებო ამიერ კავკასიის კომიტეტი შუამდგომლობს დროებით მთავრობის წინაშე დამატებით 105 ათასი მანეთის გადადების შესახებ. აბასთუმანში აგარაკი მოეწყობა 55 ავათმყოფისთვის, ბორჯომში 50.

◆ **თფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულო** აცხადებს იმ თეთრ-ბილეთიანების საყურადღებოთ, რომლებიც შემოწმების შემდეგ ჯარის ნაწილებიდან ან სამხედრო საკრებულოთა თავ-შესაყრელ ადგილიდან იყვენ გაშვებული მინდვრების დასამუშავებლათ, სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად, 15 ივ. უნდა გამოცხადდენ ჯარში. ვინც დანიშნულ დრომდე არ გამოცხადდება, ის ჩაითვლება დეზერტირათ და პასუხის გებაშიც იქნება მიცემული.

კრებები და მიტინგები.

დღეს, სა. 7 საათზე (პეტრე დიდის ქუჩა № 18) შესდგება მეორე საერთო კრება ოქრომჭედლებისა. კრება დაამტკიცებს წესდებას და აირჩევს გამგეობას.

— სა. 6 საათზე საქალაქო სკოლის შენობაში მარტყოფის ქუჩაზე მეშვიდე უბნის მეორე ქვერაიონის მცხოვრებთა კრებაა. თემა: „საქალაქო არჩევნები".

— საღამოს 5 საათზე, მეცხრე უბნის საარჩევნო ბიურო მესამე მომრიგებელი სასამართლოს შენობაში ტურგენევის ქუჩაზე იწვევს მოქალაქე ქალთა საერთო კრებას. თემა: „საქალაქო არჩევნები".

— საღამოს 6 საათზე, ვერის პარკში გაიმართება პირველი უბნის მცხოვრებთა სახალხო მიტინგი. თემა: „საქალაქო არჩევნები და დღევანდელი მომენტი".

— საღამოს 7 ნ. ს. საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ სადგომში თ. კიკვაძე წაიკითხავს ლექციას. თემა: „საქალაქო არჩევნები".

ქალაქის არჩევნების შესახებ.

ქ. თფილისი დაყოფილია 83 საარჩევნო უბნათ. ქალაქის უბნებათ დაყოფისათვის მიღებულია ორი უმთავრესი საზომი—სივრცე რაიონისა და ამომრჩეველთა რიცხვი უბანში. ქალაქის განაპირა უბნები, სადაც მოსახლეობა უფრო იშვიათია ამომრჩეველთა რიცხვი საარჩევნო უბანში პატარაა სივრცე რაიონისა, დიდ ცენტრალურში კი, სადაც მოსახლეობა ხშირია, საარჩევნო რაიონის სივრცე პატარაა, ხოლო ამომრჩეველთა რიცხვი დიდი. თუ ამომრჩეველთა რიცხვი უბანში აღემატება 1,500 კაცს, მაშინ საარჩევნო ბიუროში უნდა იყოს ორი და უფრო მეტი საარჩევნო ყუთი. ეს გადაწყვეტილება უადვილებს თფილისის მცხოვრებთ, როგორც განაპირა უბნებში, ისე ცენტრალურ რაიონებში, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

პირველი სამილიციო ნაწილი გაყოფილია ათ საარჩევნო უბნათ. ათ ადგილას იქნება საარჩევნო კრება, ე. ი. ათ ადგილას იდგმება საარჩევნო ყუთები. ეს ადგილები შემდეგია:

1 საარჩევნო უბნისათვის—საბურთალოზე პეპინაძის სახლი.
2 — ვაკეში ფანჯარაძის სახლში.
3 — სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.
4 — საქალაქო სკოლაში, ოლღას ქ. № 52.
5 — ქალთა 4 გიმნაზიაში.
6 — ქალაქის სკოლაში, ბელინსკის ქ. სახ. გასან-ჯალალოვისა.
7 — სამ. წ სამზომლო სასწავლებელში.
8 — 1 განყოფილების სასამართლოს შენობაში.
9 — განათლების სკოლაში.
10 — საბურთალოს თეატრში.

მეორე სამილიციო ნაწილი დანაწილებულია 6 საარჩევნო უბნათ.

11 — სამეურნეო საზოგადოების შენობაში.
12 — არტისტიულ საზოგადოების ზამთრის შენობაში.
13 — სახელმწიფო თეატრში.
14 — თეატრ „მინიატიურში" მელიქ-აზარიანცის სახლში.
15 — ზუბალაშვილის ღარიბთა თავშესაფარში.
16 — საოლქო სასამართლოს შენობაში.

მესამე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 4 საარჩევნო უბნათ:

17 — ვაჟთა 1 გიმნაზიაში.
18 — ქალაქის პროფესიონალურ სასწავლებელში, ჟუკოვის ქ № 9.
19 ვაჟთა მესამე გიმნაზიაში.
20 — ქალაქის პუშკინის 2 სასწავლებელში, ბებუთოვის ქ. სახ. აფრიკიანის.
21 — ხელოსანთა სამმართველოში.
22 — ვაჭართა ბირჟაში.
23 — კათოლიკურ ეკლესიის სკოლის შენობაში.
24 — სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში.

მეხუთე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 5 საარჩევნო უბნათ.

25 — სავაჭრო სამეურნეო პოლიციის კანტორაში მოედანზე.
26 — მუსულმანთა აუდიტორიაში.
27 — სასურსათო დუქნებში, შიოევისეულ სახლში.
28 — პუშკინის სკოლაში, სურფსარქისის ქუჩა ქალაქის სახ.
29 — ტოლლეს ქარხანა.

მეექვსე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 8 საარჩევნო უბნათ.

30 — მუაშკოს თეატრში.
31 — ქალაქის პურის საცხობში, კახეთის ქუჩაზე.
32 — სამინისტრო სკოლაში, კახეთის ქ. სახ. № 60.
33 — ხარაზიანის სახლში—ფერმო ავლაბრის ქ. № 25.
34 — ტერ-აბრამოვის ნავთის საამხანაგო კანტორაში.
35 — განმანაწილებელ პუნქტში.
36 — ნადეჟდის თავშესაფარში.
37 — კირაკოზოვის სახლში—სკოტობოინის ქ. № 15.

მეშვიდე სამილიციო ნაწილი გაყოფილია 8 საარჩევნო უბნათ:

38 — საზოგადოება „მეჩუს" შკოლაში, კახეთის მოედანზედ.
39 — მარიხეს ეკლესიის შკოლაში.
40 — ავლაბრის თეატრში.
41 — ცარიელს მაღაზიაში, ლაზარევის ქ. № 67.
42 — სამინისტრო სასწავლებელში სახ. მელიქ ბეგლაროვისა.
43 ვაჟთა მე-5 გიმნაზიაში.
44 — ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში.
45 — ახლათ აშენებულ დუქნებში ტერ-ხაჩატურიანცის სახლი.

მერვე სამილიციო ნაწილი დაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნათ:

46 — 1 კომერციულ სასწავლებელში.
47 — ჩუღურეთის ქალაქის შკოლაში პანასევიჩის ქ. № 29.
48 — მეოთხე განყოფილების სასამართლოს შენობაში.
49 — მოლოკანთა შკოლაში, დესსიმონოვის მოედანზედ.
50 — ალტმანის სახლში, რკინის გზის ლიანდაგის იქით.

მეცხრე უბანი დანაწილებულია 7 საარჩევნო უბნათ:

51 — ზაფხულის შენობა ხელოსანთა კლუბისა, მიხაილოვის ქ.
52 — კათოლიკეთა ეკლესიის შკოლაში ნიკოლოზის ქ.
53 — კომეტის ქარხანაში ლიუტერანთა ქუჩაზედ.
54 — ქალაქის შკოლაში, ჩერქეზოვის ქ. სახლი № 29.
55 — ქალაქის კუკიის მეხუთე შკოლაში კრასნოგორის ქ. № 10.
56 წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიის შკოლაში.
57 — მუშათა კლუბში, ნადიროვკაში.

მეათე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 7 საარჩევნო უბნათ.

58 — ქალაქის შკოლაში მიხაილოვის ქ. № 156.
59 — სეილანოვის ქარხანაში, ელიზავეტის და ბატარეინის ქ. კუთხე.
60 — ენფიანჯიანცის ქარხანაში, ვაგზლის ქუჩაზედ.
61 — ეპარხიალურ სასწავლებელში, ანდრეევის ქ.
62 — ავჭალის აუდიტორიაში.
63 — არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობაში მიხეილ. ქ.
64 სახალხო სახლში, კიროჩნის ქ.

მეთერთმეტე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 8 საარჩევნო უბნათ:

65 — მეტეხელოვის სახლში, ლოტკის ქ სახლი № 24.
66 — ბაბა აივაზოვის სახლში ნაძალადევში.
67 — ნაძალადევის თეატრში.
68 — ქალაქის პურის საცხობში, აფანასიევის ქ. სახ. შანგუასი № 44.
69 — ასანაშვილის სახლში რაბოჩი და პლოტნიჩი ქ. კუთხე.
70 — ქალაქის შკოლაში, ჩერქეზოვის ქ. სახ. № 100.
71 მოსოლოვის სახლში, ვლადიმირის ქ. სახ. № 67.
72 — ამხანაგობა „შუქის" კონტორაში. ჩერქეზოვის ქუჩის გაგრძელება.

მეთორმეტე სამილიციო ნაწილი დაყოფილია 8 საარჩევნო უბნათ:

73 — ბავშთა სამზრუნველო საზოგადოების შკოლაში, დიდუბის და დონდუკოვ-კარსაკოვის ქ. კუთხე.
74 — იპოდრომის შენობაში.
75 — რკინის გზის სასწავლებელში, შერემეტევის ქუჩაზედ.
76 — საბალოსნო სასწავლებელში.
77 — კამოევის ელექტრონის სტანციის შენობაში, ფოთის ქ.
78 კუსტარულ კომიტეტში, მუშტაიდში.
79 — პეტრაშევსკის კომერციულ სასწავლებელში.
80 — ავჭალის წყალსადენზედ, ავჭალაში.

დანარჩენი სამი უბანი სამილიციო ნაწილების გარეშეა.

81 — არსენალი.
82 — სამხედრო ჰოსპიტალი.
83 — ქალაქის ახალი საყასბოები.

ეს შენობები იმყოფებიან საარჩევნო უბნების რაიონებში და ამიტომ ამ შენობების ახლო მახლო მცხოვრები ამომრჩეველნი, მონაწილეობის მისაღებათ უნდა მივიდნენ აღნიშნულს შენობებში და არა სხვაგან. ამომრჩეველმა წინდაწინ უნდა გაითვალისწინოს სად უნდა მივიდეს ხმის მისაცემათ და ჩვენც სწორეთ ამიტომ ჩამოვთვალეთ დაწვრილებით საარჩევნო კრებების ბინები. მართალია, ამომრჩეველს ექნება საარჩევნო ბარათი, სადაც ნაჩვენები იქნება ბინა საარჩევნო კრებისა, მაგრამ ყველა ვერ მიიღებს საარჩევნო ბარათს თავის დროზე და საარჩევნო უბნების სიმრავლის უბანში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და ტყუილად ივლის უბნიდამ უბანში.

ამგვარათ ქალაქის უბნებათ დანაწილება თფილისში მოხდა დემოკრატიისათვის ხელსაყრელათ.

საარჩევნო სიები უკვე ნახევარზე მეტი მზათ არის და ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიები იბეჭდება მხოლოდ რემინგტონზე და თვითეულ საარჩევნო უბნისათვის 9 ან 10 ცალი, რადგანაც სტამბაში მათი დაბეჭდვა თფილისში მოუხერხებელი შეიქნა. მაშასადამე სიების ფართე გავრცელება შეუძლებელია და ამიტომ ჩვენ გვმართებს მეტი ენერგიის და უნარის გამოჩენა, რათა გამოტოვებული ამომრჩეველი თავის დროზე შეტანილ იქნეს სიაში. კანონით დამატებითი შეტანა სიაში შეიძლება მხოლოდ სიების გამოქვეყნების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში. ვინც ამ ხუთს დღეში არ ეცდება შეტანილ იქნას სიაში, შემდეგ ის კარგავს ხმას და არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღარ შეუძლია. მაგალითად ვთქვათ სიები გამოაქვეყნეს 20 ივნის

ვინც ოციდან ოცდახუთ ივნისამდე არ გამოაცხადებს, რომ გამოტოვებულია სიებში, ის კარგავს ხმას. რომ ამომრჩევლებს გაუადვილდეთ განცხადების მიტანა, მწერლობით თუ სიტყვიერათ, ქალაქის თორმეტს უბანში (სამილიციო ნაწილების მიხედვით) გაგზავნილი იქნებიან საგანგებოთ მწერლები და ისინი მიიღებენ ყოველგვარ განცხადებებს გამოტოვების ან სიების შეცდომების შესახებ.

ეს მწერლები, ხუთი დღის განმავლობაში იქნებიან შემდეგ ადგილებში:

1 უბანში—ქალაქის სკოლაში, ოლღას ქ. სახლი მ. ჩაბლისა № 52.
2 — არტისტიულ საზოგადოების საზამთრო შენობაში.
3 — ქალთა მე 3 გიმნაზიაში.
4 — სახელოსნო სასწავლებელში.
5 — ქალაქის სამკურნალოში—ვორონცოვის ქუჩაზედ.
6 — ნადეჟდის თავშესაფარში, რეიტერის ქუჩ.
7 — ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში.
8 — 1 კომერციულ სასწავლებელში.
9 — ქალთა მე 5 გიმნაზიაში.
10 — სახალხო სახლში.
11 — სასურსათო კომიტეტში, პავლოვის ქუჩ.
12 — რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში, შერემეტიევის ქუჩ.

ხუთი დღის შემდეგ, საარჩევნო კომიტეტს ეძლევა სამი დღის ვადა სიების შესავსებათ.

სამი დღის შემდეგ სიები უნდა გამოქვეყნდეს საბოლოოდ, ორი კვირის წინათ არჩევნებამდე. ამ უკანასკნელი ორი კვირის ვადაში ამომრჩევლებმა უნდა მიიღონ საარჩევნო ბარათები. ის ამომრჩეველი, რომელსაც საარჩევნო ბარათი არ ექნება, საარჩევნო კრებაზედ ვერ დაესწრება და მონაწილეობას არჩევნებში ვერ მიიღებს. ამიტომ ამომრჩევლები წინდაწინვე უნდა ეცადონ ბარათები თავის დროზე მიიღონ.

კანონში ნაჩვენებია, რომ საარჩევნო ბარათები ამომრჩევლებმა უნდა მიიღონ ქალაქის გამგეობაშიო, მაგრამ ეს მეტად უხერხულია ამომრჩევლებისათვის. განაპირა უბნებში მცხოვრები ვერ მივა ქალაქის გამგეობაში ბარათის მისაღებათ და მაშასადამე ხმას დაკარგავს. მოსკოვის საარჩევნო კომიტეტმა, მიუხედავათ კანონისა, გადაწყვიტა ბარათები დატარებით დაურიგოს ამომრჩევლებს და ადგილობრივ ჩააბაროს ამომრჩევლებს. თფილისის კომიტეტს ჯერ არ გამოუტანია ამის შესახებ რაიმე გადაწყვეტილება.

ეს კითხვა თფილისისათვის ძნელი გადასაწყვეტია, რადგან აქ არჩევნებში დაინტერესებულნი არიან პოლიტიკურ პარტიების გარდა ნაციონალური პარტიებიც. ეჭვს გარეშეა, რომ დარიგება ბარათებისა ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ თფილისში ეს სახიფათოა. ამ შემთხვევაში თვით დამრიგებლებზე და მისს კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული ვის აბარებს ბარათებს. მიუხედავათ უხერხულობისა მაინც ერთად ერთ მისაღებ საშუალებად ბარათების გასავრცელებლათ დატარება და ჩვენც მოსკოვსავით ამ გზას უნდა დავადგეთ, რადგანაც დატარება გადაცემაში ნაკლებ ბოროტებაა, ვინემ სხვა რომელიმე სისტემაში ბარათების გავრცელებლად. ხოლო ის ამომრჩეველი, რომელიც ვერ მოასწრებს ბარათის მიღებას არჩევნების დღემდე, არჩევნების დღეს მიიღებს ბარათს საარჩევნო ბიუროს კანცელარიაში.

მართალია ეს საძნელოა ამომრჩევლისათვის, საარჩევნო უბნების სიშორის გამო, მაგრამ თუ მას ეცოდინება ბინა იმ საარჩევნო კრებისა, რომელიც მის ბინის ახლოს იქნება ეს საძნელო მოისპობა და სწორეთ იმ კრებაზე მივა, რომელიც მისი ბინის ახლოს იქნება. ამ მოსაზრებით მოვიყვანეთ ჩვენ სია საარჩევნო კრებების ბინებისა ყველა 83 უბნისათვის.

ყველა დაინტერესებულმა პარტიებმა თუ ჯგუფებმა არჩევნების დღემდე ათის დღის წინ უნდა წარუდგინოს ქალაქის თავს სია კანდიდატებისა, ქალაქის თავი ამ სიებს ნომრებს ასვამს, იმის მიხედვით, რომელი სიაც მას ადრე მოუვიდა. კანდიდატთა სიაში უნდა იყვეს ნაჩვენები 120 გვარი. 120 მეტი თუ იქნება სიაში—121 დან დანარჩენები სიიდან უნდა ამოშალოს ქალაქის თავმა. ნაკლების ჩვენება შეიძლება.

კანდიდატების სია ხელმოწერილი უნდა იყოს არა ნაკლებ 60 კაცისაგან, თვითეულ დასახელებულმა კანდიდატმა, ან იმავე კანდიდატთა ბარათზედ ან ცალკე, წერილობით უნდა განაცხადოს სურვილი და თანხმობა არჩევანისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კანდიდატურა მოხსნილი უნდა იქნას. შემდეგ, ქალაქის თავმა რამდენიმე დღე უნდა აცხადოს გაზეთებში კანდიდატთა სიები და აღნიშნოს რომელი პარტიისა და რა ნომრით მიიღო მან ეს სია. ამომრჩეველი არჩევანის დღეს ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიის სიას, მაგრამ საარჩევნო ბიულეტენში გვარები კი არ იქნება ნაჩვენები, მხოლოდ ნომერი სიისა. მაგალითად არჩევნების დღემდე ათი დღის წინ ქალაქის თავს პირველად წარუდგინა სია სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, მეორეთ კადეტებმა, მესამეთ ესერებმა, მეოთხეთ ფედერალისტებმა და სხვ. ქალაქის თავი სოციალდემ. პარტიის სიას დაასვამს პირველ ნომერს, კადეტების სიას მეორეს, ესერების სიას მესამეს და სხვ. შემდეგ ქალაქის თავი აცხადებს გაზეთებში კანდიდატთა სიას № 1 არის სოციალდემოკრატებისა, № 2 კადეტებისა და სხვ. მათი კანდიდატები ესენი არიან და უნდა ჩამოთვალოს გვარები.

ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში სწერს მხოლოდ ნომერს სიისას, გვარებს კი არ უჩვენებს.

ასეთი საარჩევნო წესი ჰქმნის ორს უხერხულობას. ერთის მხრით ზღუდავს ამომრჩევლის უფლებას, რადგანაც მას არ შეუძლიან ამოშალოს მისთვის არა-სასურველი კანდიდატი და მეორე მხრით გამოიწვევს დიდ არეულ დარეულობას წერა-კითხვის უცოდინარ ხალხში. ის ნომრებს ვერ გაარჩევს და ხმას მისცემს სრულიად შემთხვევით ისეთს პარტიას, რომელსაც სრულიად არ თანაუგრძნობს. თფილისში ძალიან ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი და ამისათვის სხვა ზომებია მისაღები. კარგი იყო სხვადასხვა ფერ ქაღალდებზე დაბეჭდვა საარჩევნო ბიულეტენებისა, მაგრამ დღევანდელ მომენტში ყველა მოინდომებს წითელ ფერ ქაღალდს და ესეც არევ-დარევას გამოიწვევს. სხვადასხვა ფერი ქაღალდი ადვილი ასახსნელია წერა-კითხვის უცოდინარ კაცისათვის. შეიძლება თეთრ ფერ ქაღალდზე დაიწეროს ნომერი სიისა სხვადასხვა ფერ მელნით. ესეც ნახევარი ზომაა. სასურველია პარტიათა შორის შეთანხმება ქაღალდის ფერის შესახებ.

ვ. ხ.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

ხაშ. აჯიკაბული.

მაისის პირველ რიცხვებიდან აქ დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა დროებით შემდგარმა, რ. ს. დ. მ. პ. ჯგუფმა. 19 მაისს გაიმართა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა მრავალრიცხოვანი კრება. ამხ. ლ. კანკავამ წაიკითხა ლექცია სოციალდემოკრატიის მოძღვრებაზე და საერთოთ, მეცნიერულ სოციალიზმის ძირითად პრინციპებზე, ამ მეცნიერების წარმოშობის ისტორიაზე და იმ დებულებებზე, რომლებზედაც დამყარებულია სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობა. ამის შემდეგ ამხ. ოგანეზოვმა წაიკითხა პარტიის პროგრამა და მისი ყოველი მუხლი ფართოთ გაარჩია. მეორე ასეთივე კრება მოხდა მაისის 21 ილაპარაკეს ამხ. ლ. კანკავამ და ბოკერიამ ს. დ. როგორც საერთაშორისო რევოლუციონურ პარტიაზე და რა ლოზუნგებით გამოდის ის დღევანდელ მომენტში და, ამასთან გზა და გზა გაარჩიეს სხვა უმთავრეს არსებულ პოლიტიკური პარტიების პროგრამებიც. ამხ. ოგანეზოვმა ილაპარაკა პარტიის ორგანიზაციის შედგენა-მოწყობაზე. ბოლოს, კრების მოთხოვნილებით, ამხ. კანკავამ მოკლეთ გააცნო დამსწრეთ პარტიის (როგორც „მენშევიკების“, ისე „ბოლშევიკების“) შეხედულებები: ომზე და ზავზე, აგრარულ, ეროვნულ და მუშათა საკითხებზე და ხაზი გაუსვა „მენშევიკების“ შეხედულებას, როგორც უფრო სწორს და ცხოვრებასთან შეთანხმებულს. დამფუძნებელი კრება მოხდა 28 მაისს. კრებას დაესწრო ბაქოს ორგანიზაციის წევრი ამხ. ბოგდანოვი. მან ილაპარაკა თანამედროვე მომენტზე. მოკლეთ შეეხო თითქმის ყოველ საკითხს მომენტის მიერ წამოყენებულს და მოუწოდა თანამგრძნობთ დამდგარიყვნენ ს. დ. პარტიის დროშის ქვეშ.

აგრარულ საკითხმა კრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ითხოვდნენ განმარტებას. ამ საგანზე ილაპარაკეს ამხ. კანკავამ და ოგანეზოვმა. ისინი ამხ. ბოგდანოვის ნათქვამს უჭერდნენ მხარს და ამტკიცებდნენ მიწის სოციალიზაციის უვარგობას და დროის შესაფერისად მიწის მუნიციპალიზაციას აღიარებდნენ.

პარტიაში, ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 200 წევრი. მას დამოკიდებულება ექნება ბაქოს ორგანიზაციასთან. აჯიკაბულის რაიონში შედის ყველა სადგურები კიურდამირიდან ალიათამდე. კიურდამირსა და ალიათში იქნება ხელქვეითი რაიონები.

№

თელავის რაიონი.

ს. კურდღელაურში მოხდა დიდი პარტიული ყრილობა, სადაც არჩეული იქნა დელეგატი თფილისის პარტიულ კონფერენციაზე. აირჩიეს შაქრო ლეკიშვილი. იმავე ყრილობაზე მოხსენება გააკეთეს მაჭავარიანმა და ლაზრიშვილმა მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობის შესახებ.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან არსებულ კომისიამ, რომლის მიზანია ბრძოლა დეზერტირების წინააღმდეგ დიდი საქმე გააკეთა. ყოველ დღე აუარებელი დეზერტირები მოდიან. კომისია დიდის ენერგიით მუშაობს. სოფლებში მას ნდობით ეპყრობიან. საქმეს აფერხებს უფულობა. არავითარი თანხა საბჭოს არ მოეპოება მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ. ამიტომ ძლიერი შუამდგომლობა თფილისის კომისარიატის წინაშე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს მან საბჭოს.

— ს. დ. კომიტეტთან დაარსდა პროპაგანდისტთა ჯგუფი, რომელიც შეუდგა მოხსენების კითხვას. მოხსენება წაიკითხა დამფუძნებელი კრების შესახებ ამხ. გაბო ცისკარაშვილმა. ამ დღეებში კატო ნასიძე გაარჩევს პარტიის პროგრამას.

— გუშინ გაიმართა ადგილობრივ საზოგადო კლუბში უკრაინელთა საღამო. საღამო შინაარსიანი იყო. აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

— ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უსიცოცხლობა ეტყობა, ლაპარაკი, ლაპარაკი დაუსრულებელი ერთ და იმავე უბრალო კითხვაზედ და საქმე კი არაფერი—აი რა ახასიათებს მას.

— სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების მდგომარეობა აუტანელია, შიშველ ტიტველნი, ხან სად მიდიან ხან სად—მოგვეცით ფულიო. დროა არის ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. მით უმეტეს, ფული მოსულია, მხოლოდ დამრიგებელი არ არის.

— უკვე შეუდგენ მომავალ საქალაქო არჩევნების სამზადისს. ინტელიგენტთა ჯგუფი ქალაქის აღწერას შეუდგა.

— თელავს შიმშილობა მოელის: პური გამოილია. სასურსათო კომისია სასწრაფო დეპეშით ითხოვს თფილისიდან პურის გამოგზავნას.

თ. გ.

მუშათა ცხოვრება.

ჩაქვი (საუფლისწულო მამული). აქაური მუშები ძველი რეჟიმის დროს აუტანელ პირობებში იმყოფებოდენ. დღეს მათ ხმა აღიმაღლეს. აქაური მუშების უმეტესობას შეადგენენ ზაფხულობით დღიაკაცები, რომლებიც იღებენ რვასაათის სამუშაო დღეში 80 კ., 1 მ. 40 კ., რაც ახლანდელ დროში მცირე ხელფასია. 30 მაისს მოხდა მომრიგებელ კამერის არჩევნები. მუშების მხრით აირჩიეს: ქრისტეფორე იმნაიშვილი, არსენ ქიქოძე, დიმიტრი ჭანუყვაძე და ილიკო გოგვაძე. კანდიდატებათ: ისლამოვი და კირილოვი.

8 ივნისს მუშებმა ადმინისტრაციას ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებები წარუდგინეს 11 მუხლისაგან შემდგარი: ჯამაგირების მომატება ვინც ღებულობს ას მანეთამდე 75 პროც. და ვინც 100—150 მანეთამდე 35 პრ; ბინების გაუმჯობესება; საექიმო დახმარების გაუმჯობესება; ავათმყოფობის დროს დღიურ მუშებს მოეცეს სრული ჯამაგირი; წვიმა-ავდარში მოეცეს მყუდრო ადგილებში სამუშევარი, ან დაეწეროს ნახევარი დღე; ჩაის პლანტაციებში გაკეთდეს წვიმის დროს თავშესაფარი ფარდულები; მუშების სადგომებში მოეწყოს ჩაის ასადუღებელი ქვაბები და აგრეთვე სარეცხისთვის ვარცლები, ყაზარმებში დანიშნულ იქნას დარაჯები, გასათბობი მასალა; შაბათობით 7 საათის სამუშაო დრო; ყაზარმებში, მაგიდების სკამების დადგმა. ვადა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ერთი კვირაა. მოთხოვნათა პირი ეგზავნება ბათუმის მუშ. დეპუტ. საბჭოს ბიუროს და დროებით მთავრობის წარმომადგენელს აკაკი ჩხენკელს. ვსთხოვთ აკ. ჩხენკელს ყურადღება მოგვაქციოს.

ჩახ—ლი.

მახინჯაური (ბათუმის რაიონი). 2 ივნისს აქ მოხდა კრება ადგილობრივ და „ზელიონი მისის“ ბაღების მუშებისა. კრებას დაესწრენ აგრეთვე ადგილობრივი მემამულეებიც, რომლებიც კრების დაწყებისთანავე გამოეყვნენ მუშებს და გახსნეს საკუთარი კრება. გამოვიდა ერთი მათგანი და განაცხადა, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ რვა საათის სამუშაო დღის შემოღების და დღიური ხელფასის სამს მანეთამდე გადიდებისო. სამწუხაროდ, მუშები ვერ შეხვდენ მომზადებულათ მათ ასეთ გამოსვლას. არც მუშათა ორგანიზაციაა ჯერ, რომ ასეთ გამოსვლებს შესაფერი პასუხი გასცეს, რაც აიხსნება იმით, რომ აქაური მუშების უმრავლესობა ქართველი მაჭადიანებია, მეტათ შეუგნებელი და ჩამორჩენილნი. ზოგს მათგანს ჯერაც არ სჯერა რუსეთში ძველი წყობილების დახობა.

აქაურმა შეგნებულმა მუშათა წრემ გადასწყვიტა ენერგიული ნაბიჯი: შემოიღო რვა საათის სამუშაო დღე და დღიური ხელფასი სამს მანეთზე აიყვანა. სამწუხაროთ, უმრავლესობას ვერ მიჰყავს სისრულეში ეს დადგენილება. უმეტესი 8 საათზე მეტს მუშაობს, ამასთან ზოგიერთები კმაყოფილდებიან მცირე ხელფასით. მათ ვერ შეუგნიათ, რომ ამით სამუდამოთ ასამარებენ საერთო დადგენილებას და საერთოთ მუშებისთვის ზარალი მოაქვთ. აქვე უნდა აღვნიშნო ზოგიერთი მუშის სამარცხვინო საქციელი: კარტის, ნარდის და დომინოს თამაში. დროა ამხანაგებო, საქმე ვაკეთოთ!

ხ. ჭ.

რევოლიუცია პროვინციაში

ოზურგეთი. კვირას 4 ივნისს ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოზურგეთის მოწაფეთა კლუბი, რომელიც მოთავსებულია ადგილობრივ ორკლასიან საქალებო სასწავლებელში. კლუბის გახსნას და კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. გურიის ს.-დ. და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ესალმება გ. კოპალაძე, ადგილობრივ ს. ფედერალისტების სახელით ესალმება სტ. კვირველია, რევოლუციონერების სახელით კი დანელია. მგრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვები წარმოთქვეს მოწაფეებმა: თ. სიხარულიძემ, ვ. ურუშაძემ, ნ. ურუშაძემ და გოგუცა თოთიბაძემ. რამაც დამსწრეთა შორის ცხოველი ტაშის ცემა გამოიწვია. ზეიმის შემდეგ სტუმრები ჩაიზე მიიწვიეს.

კლუბის წესდება დაახლოებით ასეთია: კლუბს მიზნათ აქვს დასახული მოწაფეთა თვითგანვითარება და მათში მოქალაქეობრიობის განმტკიცება. კლუბის გამგეობას, რომელიც განაგებს კლუბის ყოველივე საქმეებს, ევალება მოაწყოს ლექციები და რეფერატები.

წევრათ ღებულობენ 4 კლასს დამთავრებულს და მსურველ სტუდენტებსაც. საწევრო გადასახადი 1 მან., საპატიო წევრისთვის 15 მან. და სხვ. კლუბს აქვს თავისი ბეჭედი შემდეგი წარწერით: ოზურგეთის მოწაფეთა კლუბი.

წითელმთიელი.

ქ. ხოჯაბულახი. მოხდა ქართველ მსროლელ პოლკის კომიტეტის წევრების ხელახალი არჩევნები. არჩეულ იქნენ 24 სალდათი და 12 აფიცერი. სულ 36 კაცი. სამწუხარო ის არის, რომ აფიცრებმა ოთხი ისეთი კაცი აირჩიეს კომიტეტში, რომლებიც ამას წინათ ჯარისკაცებს დაპატიმრებული ყავდათ.

— 20 მაისს აქ მოხდა ქართული მსროლელი პოლკის კომიტეტის სხდომა. სხვა კითხვებთან ერთათ გაარჩიეს საკითხი წავიდეს თუ არა ქართული პოლკი ქ. ბანეში სხვა ნაწილის ანუ პოლკის გამოსაცვლელათ? (ჩვენი პოლკის ერთი ბატალიონი მოწინავე ხაზზე დგას). ამ კითხვამ ბევრი კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს როგორც აფიცრებმა ისე ჯარისკაცებმა და შემდეგ დაადგინეს:

„ერთი წელიწადზე მეტია, რაც პოლკი იმყოფება ბრძოლის ველზე მოწინავე პოზიციაზე, ყოვლად არასასურველ პირობებში. ეხლა კი მიღებულია ბრძანება, წავიდეთ სხვა პოლკის გამოსაცვლელათ ბანეში. აუცილებელია გავიაროთ 200 ვერსზე მეტი. ბრძოლაში წასასვლელათ ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზათა ვართ, მხოლოდ სანამ ჯარისკაცები არ მიიღებენ საჭირო ტანისამოს, ფეხსაცმლებს, პალატკებს და ყოველივე მას, რაც აუცილებელი საჭიროა მგზავრობისათვის, პოლკს არ შეუძლია წავიდეს რომელიმე ნაწილის გამოსაცვლელათ ბანეში. ამასთანავე კომიტეტი სთხოვს პოლკის უფროსს, აცნობოს ეს „ოტრიადის“ და კორპუსის უფროსებს. შეთანხმებით ამ დადგენილებისა კომიტეტი სცნობს საჭიროთ სთხოვოს პოლკის უფროსს, რომ მან ეს აცნობოს ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ხარლამოვს“.

იათაის-პირელი.

კავკასიის ფრონტი.

კავკასიის ფრონტზე აქა იქ გაფანტული ჯარის კაცები უნუგეშო მდგომარეობაში ვართ. ბედნიერია ის, ვინც ახლოა და მის ყურს ატკბობს თავისუფლების მხიარული ხმა, კითხულობს გაზეთებს და თვალ ყურს ადევნებს ძველი ცხოვრების ნგრევას და ახლის შენებას. ჩვენ ყველა ამ ბედნიერებას მოკლებული ვართ. სადღაც შორს კარჩხალის მთებში მიკარგულნი რამდენიმე თვის შემდეგ თუ გავიგებთ იმას, რაც უკვე მოხდა და დაძველდა. გაზეთებს ძლიერ გვიან ვღებულობთ და ისიც არა სისტემატიურათ. ჩვენი ბატონ პატრონები ჩვენი აფიცრები არიან და როგორც უნდათ ისე აბამენ ქოთანს ყურს, როგორც მათ სურს და მათთვის სასარგებლოა ისე გვიხსნიან დღევანდელ მდგომარეობას. მათში ბევრი ურევია ისეთი, რომლებსაც ვერ მოუნელებიათ ახალი წეს-წყობილება და ძველს მისტირიან, მაგრამ აშკარათ ვერ გაუბედნიათ ამის გამოთქმა და ისე კი ცდილობენ ყველაფერ ახალს კრიტიკა გაუკეთონ და თავისებურათ გააშუქონ.

საჭიროა ამხანაგებმა და გულშემატკივრებმა ყურადღება მოგვაქციონ.

ვარ. პატარაია.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ლეღვანი (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სადგურ მარელისიდან ოთხი ვერსის მანძილზე, აქ არსებობს ერთ კლასიანი სასწავლებელი. აქაური გლეხობა დღემდის კულტურულად ძალიან ჩამორჩენილი იყო. დღეს კი ამ დიდებულმა რევოლიუციამ ბევრი მათგანი გამოაფხიზლა. რამოდენიმე პირის მეთაურობით წელს დაარსეს უფასო სამკითხველო, ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა ამას, მაგრამ როგორც ყოველგან აქაც გამოჩნდენ პროვაკატორები და სამკითხველოს დაწვა მოინდომეს. სამკითხველოში არის გამოწერილი გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო ფურცელი“, „ხალხის თავისუფლება“, „საქართველო“, „ჩვენი მეგობარი“ და „სოციალდემოკრატი“, ჟურნალები კი „თეატრი და ცხოვრება“ და „განათლება“.

ვანო შარიქაძე.

დაბა აბასთუმანი. ეს დაბა ყოველ მხრით დიდათ ჩამორჩენილია. ამ დიდებულ რევოლიუციის დროის აქაური აშმორებულ ცხოვრება ოდნავ არ შენძრეულა. ყველგან ხალხი ჩაება ახალ ცხოვრების შექმნის მუშაობაში და აბასთუმნელებს კი ისევ ისე ძველებურათ სძინავთ.

რა უნდა ვსთქვათ აქაურ გლეხობაზე, როცა მათ ცოდნა-განვითარება არ შესწევთ გაიგონ დღევანდელი მომენტის სიდიადე და დროის შესაფერათ მოიქცენ, მცოდნე და გამოცდილი პირები, რომლებსაც შეეძლოთ სინათლის სხივი შეეტანათ ამ ბედ-შავ ცხოვრებაში აქ სრულებით არ მოიპოვება. აქ არიან მოსამსახურეები აფთიაქებში, მაღაზიებში და სხ. რომლებსაც ასე თუ ისე სწავლა-ცოდნა აქვთ და იმის მაგიერ, რომ კულტურულ მუშაობას შეუდგენ, ერთმანეთთან ჩხუბით და კინკლაობით ატარებენ დროს. დროა წინ გაიხედოთ და ცხოვრებას კუდში არ მოექცეთ.

ვარლამ ზანათელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და თავთავიანთი წვლილი გადმომცეს ქვიანის (გურია) უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ. განსაკუთრებით მადლობას უძღვნი ბ-ნ რაჟდენ აბუსერიძეს და მადაროს კარელს (კატუშა), რომელმაც თავიანთ ნაცნობ მეგობრებში შეაგროვეს და გადმომცეს პირველმა 10 მ. 50 კ. ხოლო მეორემ 12 მ. 55 კ. ჩემის მხრიდან ვიხდი 5 მან.

ს. ნ. აროშიძე.

მადლობას უცხადებთ ქ. ფოთში მცხოვრებს ლეონტი ზოდელავას, რომელმაც შემოსწირა ებალაურის სოფლის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს 25 მ.

თომა და ეროდი აფხაზავებს, რომლებმაც შემოსწირა 20 მ.

გიგო აფხაზავას, რომელმაც შემოსწირა ვასილ გიგოს ძე აფხაზავას ხსოვნის აღსანიშნავათ 5 მ.

სამკითხველოს გამგეობა.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი გრიგოლ ლაზარეს ძე კვაჭანტირაძე მსახურობდა თათრის ფრონტზე К. д. а. ахубишинскій полкъ 16 рота. თუ ვინმემ რამე იცის იმას შესახებ გვაცნობოს Ст. Нотанеби Самхтойская библіотека. კოწია კვაჭანტირაძეს.

რედ.-გამომცემელი ვლ. ბ. ბოხოხაძე.

საბჭო და გამგეობა გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა
აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 29 ივნისს, დანიშნულია წლიური
საზოგადო კრება
საზაფხულო კლუბში, დილის 11 საათზედ.

განსახილველი საგნები: 1) საბჭოს და გამგეობის მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ. 2) განხილვა და დამტკიცება 1916 წლის ანგარიშისა. 3) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ხარჯთ აღრიცხვისა. 4) არჩევნები საბჭოს სამი წევრისა, ნაცვლად ა. ბ. მებურიშვილისა, ვ. კ. ჯაფარიძისა, რომელთაც კენჭის ყრით ვადა გაუთავდათ და ნ. მ. კლიმიაშვილისა, რომელიც ვადამდის თანამდებობიდგან გადადგა. 5) არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, ნაცვლად ზ. დ. ქიქიაშვილისა, რომელსაც ვადა გაუვიდა. 6) არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1917 წლის ანგარიშის შესამოწმებლათ და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურ წეს-რიგს.

თუ პირველი კრება არ შესდგება, მეორედ იქნება დანიშნული 16 ივლისს იმავე ბინაზე და ეს კრება ჩაითვლება კანონიერათ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

3—1 საბჭო და გამგეობა.

მესამე სამილიციო ნაწილის ბინის საბჭო
იმყოფება სოლოლაკის და ჰასკევიჩის ქუჩების კუთხეში,
სახლი ყოფ. საგუბერნიო მართველობისა.
მიღება თხოვნებისა და განცხადებების დილის 10—12 საათამდე.

ს. [illegible], თბილის, ძ. №6, [illegible] კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გეგზავნებათ მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.

[illegible] აგენტებს გეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „[illegible]“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „[illegible]“, „[illegible]“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.